ეროვნული ბიბლიოთეკა


# კვალი

IX წ. საყოველკვირაო გაზეთი. IX წ.

№ 26. კვირა, 24 ივნისი 1901 წელსა. № 26.

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი – სამი შაური.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში—«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, სამიორების ქ., № 15. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція ,,КВАЛИ".


,,კვალის" რედაქციისაგან:

ხელის მომწერთა საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ ვისაც ხვედრი ფული არ აქვს შემოტანილი, მომავალ ნომრიდან ,,კვალი" აღარ გაეგზავნება.

## საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე.

### I.

უკანასკნელი სამი თუ ოთხი კვირე სხვა-და-სხვა კრებების და არჩევნების დრო იყო. კრება ჰქონდათ სახალხო კითხვების კომისიას, თფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წარმომადგენელებს, დრამატიულ საზოგადოებას, ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთ საურთიერთო დამხმარებელი კასის დასაარსებლათ და კიდევ სხვებს. კრებები იწყებოდენ და თავდებოდენ ჩვეულებრივ: ჯერ გასული წლის მოკლე ანგარიშები, შემდეგ კამათი და ბოლოს არჩევნები. ირჩევდენ გამგეთ, საქმის წინამძღოლთ და მომვლელთ.

სასიქადულოთ უნდა აღვიაროთ, რომ მსურველნი ყოველგან საკმარისი იყო, თუ ზედმეტი არა. სასიქადულოთ-მეთქი, ვამბობ იმიტომ, რომ მსურველთ არავითარი ნივთიერი ინტერესი არ იზიდავდა, პირიქით იმათი არჩევა ამა თუ იმ თანამდებობაზე საზარალო უნდა ყოფილიყო (თავისთავათ იგულისხმება, რომ ჩვენ აქ სათავად-აზნაურო ბანკი არა გვაქვს მხედველობაში, რომლის მოხელეობა ყოველთვის იყო და არის მეტათ მაძღარი ლუკმა), რადგანაც ყველა ეს დაწესებულებანი საქველ-მოქმედო ხასიათის არიან. ამიტომ სასიხარულოთ უნდა ჩავთვალოთ ის გარემოება, რომ ამ ჩვენ ანგარიშიან დროში, როცა ყოველივე ვეცხლით იზომება, ჩნდებიან უანგარო პირები და საზოგადოებას ეუბნებიან: ოღონდ კი თქვენ საქმეში ავვირჩიეთ და ჩვენ არც შრომას დავიზარებთ, და არც რაიმე სასყიდელს გთხოვთ ამისთვისო! მოდი და აბა ასეთ თხოვნაზე უარი უთხარი! ძნელია განა? სწორეთ რომ ძნელია. მაგრამ სიძნელეც არის და სიძნელეც. ზოგჯერ ისიც საძნელოა, რომ ვისმეს უარი უთხრათ უსაფუძვლო თხოვნაზე. მაგრამ როცა ამ უსაფუძვლო თხოვნის დაკმაყოფილებით საზოგადო საქმე რომ შეფერხდება და შევიწროვდება, ეს ბევრათ უფრო საძნელოა. სწორეთ ეს უკანასკნელი გარემოებაა, რომელიც ჩვენ უნდა გვაფიქრებდეს.

დღეს ვინ არ გინდა, რომ «საწყალი», მშრომელი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესობაზე არ ლაპარაკობდეს! ამათ რიცხვში ისეთებიც არიან, რომლებიც მშრომელ ხალხზე, მუშაზე, ლაპარაკით თავს იწონებენ და სახელს იკეთებენ მის თვალში, თუმცა მისი ბედი იმდენათ აინტერესებს იმათ, რამდენათაც შარშანდელი თოვლი მე და შენ, მკითხველო. არიან კიდევ ისეთები, რომელთაც სურთ მუშა ხალხის ტვინში თავიანთი ყალბი და მავნე აზრები დათესონ და ამ საშუალებით გაავრცელონ თავისი ცრუ მოძღვრება. არიან აგრეთვე ისეთებიც, რომლებიც საქმით მზათ არიან გამოსწოვონ სისხლი, და სწოვენ კიდევაც ყოველ წუთში, იმ მუშა ხალხს, რომელსაც სიტყვით ასე ლმობიერათ იხსენიებენ ხოლმე. რასაკვირველია, აქ ისეთებიც არიან, რომელთაც ნამდვილათ სურთ საქმის გაკეთება, გულით სწადიათ სიკეთის დათესვა და სიმართლის დამყარება, მაგრამ, სამწუხაროთ, ამათი რიცხვი ჯერ კიდევ ცოტაა. ასეთ პირობებში რა გასაკვირალია, რომ ხალხი შეცდეს თავის ნამდვილ და ჭეშმარიტ ხელმძღვანელთა გამოცნობაში, და ცრუ მქადაგებელთ გაყვეს.

ეს ასეც ხდება ხოლმე უმეტეს შემთხვევაში, მაგრამ საზოგადო საქმე ამით იმდენათ არ ფერხდება, რამდენათაც იმ პირთა სრული უმოქმედობით, რომლებიც სიტყვით საქმის სათავეში დგანან. აი ეს როგორ ხდება ხოლმე: გამოდის საზოგადოების „საპატიო" პირი და აცხადებს სურვილს საზოგადო ასპარეზზე მოქმედებისას, და ის ვინ იცის, თუ მას მოქმედების წყურვილი სრულიად არა აქვს, არამედ მხოლოთ სახელის მოპოება უნდა. ასეთი პირები, რა თქმა უნდა, თითონაც არას გააკეთებენ და სხვასაც ხელს უშლიან. ჩვენ კარგათ ვიცით, რით ბოლოვდება ხოლმე ეგრეთი ფარსი. ერთი ან რამდენიმე წლის შემდეგ საზოგადოება ჰკიცხავს ან საყვედურს უცხადებს ამ ვაჟბატონთ იმათი უმოქმედობისა და დაუდევრობის გამო. მხოლოთ მაშინ წარმოგიდგებათ თქვენ ეს

ვაჟბატონები მთელი თავისი სიგრძე-სიგანით. იმათი სიტყვით, საზოგადოება მარტო იმისთვის უნდა იყოს მადლიერი, რომ იმათ ამ საზოგადოებას მოწყალების თვალით გადმოხედეს და ინებეს ისეთ თანამდებობაზე არჩევა, რომლისაგანაც ისინი, გარდა შრომისა და შეწუხებისა, არავითარ ჯილდოს არ გამოელოდენ. და იმის მაგიერ, რომ ჩვენთვის მადლობა გადაეხადათ, ჩვენ საყვედურს გვიცხადებენ და კიდევაც გვკიცხავენ! ამაზე მეტი უმადურობა შეიძლება? განა ამას მოველოდით ჩვენ საზოგადოებისაგან?—აი ასე გოდებენ ეს ვაჟბატონები და ეს, სწორე გითხრათ, არც გასაკვირია: აქ მოტყუებულია ორივე მხარე, საზოგადოებაც და მის მიერ არჩეული საზოგადო საქმის ხელმძღვანელნიც. პირველი იმიტომ, რომ იგი საქმის გასაკეთებლათ ირჩევდა კაცებს და არა მარტო სახელისთვის; ხოლო მეორენი იმიტომ, რომ ისინი დარწმუნებულები იყვენ, საზოგადოება ჩვენ უსაქმობისა და დაუდევრობისთვის მადლობას გამოგვიცხადებსო. საზოგადოება სამართლიანათ იქცევა, როცა ასეთ ვაჟბატონებს კიცხავს. მაგრამ ამ გაკიცხვას ადვილათ იშორებენ ისინი თავიდან და თითქო ბრალდებულებიდან ბრალმდებელთა როლსაც კი ღებულობენ: როგორ თუ თქვენ გვკიცხავთ ჩვენ! რისთვის? რა წაგართვით? განა ჩვენ ამ საქმიდან რაიმე სარგებლობა გვქონდა? პირიქით, ჩვენ ამ საქმემ დაგვღუპა, დაგვაქცია, საკუთარ საქმეებს ყურადღება მოვაკელით. და თქვენ კი გამოსულხართ და ილანძღებით. არა, ამ პირობებში ჩვენ არ შეგვიძლია საზოგადოებას ვემსახუროთო!—და ისინი მიდიან, იმათ ალაგას სხვები ჩნდებიან ბედის საცდელათ, და ბოლოს იგივე ისტორიაა.

ამნაირათ, ასეთ ნიადაგზე ნამდვილი საზოგადოებრივი მოღვაწეობა თითქმის შეუძლებელი ხდება, რადგანაც ეს მოღვაწეობა ყალბ საფუძველზეა დამყარებული. და ეს ასე იქნება, სანამ საზოგადოებრივ ასპარეზზე სამსახური თითოეული საზოგადოების წევრისთვის არსებით მოვალეობათ არ გადაიქცევა.

* * *

მაგრამ ამ სიტყვის გახსენებამ ჩვენ დიდათ დაგვაფიქრა. მართლაც და რა არის, ან რას უწოდებენ მოვალეობას. როგორც მოგეხსენებათ, მოვალეობა ორგვარია: ზნეობრივი და იურიდიული. არსებითი განსხვავება ამ ორ შემეცნებათა შორის შემდეგია: თუ სინიდისის არ გეშინია, პირველი, ე. ი. ზნეობრივი მოვალეობა, შეგიძლია თამამათ შელახო, და ამისთვის არავითარ პასუხს არ აგებთ; ხოლო მეორის, ე. ი. იურიდიული მოვალეობის შეუსრულებლობისთვის კანონი სჯის,—მე ვამბობ კანონი-მეთქი, რადგანაც ხშირათ ეს კანონიც ქაღალდზე რჩება ხოლმე. თუ როგორ ასრულებენ ჩვენში პირველს (ზნეობრივ მოვალეობას), ან რა ნიადაგი აქვს მას ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ამას მკითხველი რამდენიმეთ ზევით ნათქვამიდანაც დაინახავდა. რაც შეეხება იურიდიულ მოვალეობას, თუ რა ნიადაგი აქვს, ან როგორ ასრულებენ მას ჩვენში, ყოველივე ამის მეტათ თვალსაჩინო მაგალითს წარმოგვიდგენს საბრალმდებლო ოქმი თფილისის ქალაქის გამგეობაზე, რაიცა შედეგია მთავრობის მიერ მოხდენილი რევიზიისა.

თქვენ, რასაკვირველია, წაკითხული გექნებათ ეს ღირს-შესანიშნავი დოკუმენტი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების უსწორ-მასწორობისა, სიდუხჭირისა და [illegible]რაობისა. დაწვრილებით ჩამოთვლა ყველა იმ [illegible]რობათა და დანაშაულთა, რომლებიც თფილისის ქალაქის გამგეობას ჩაუდენია 1897—1898 წლებში, აქ მეტი იქნება. აღვნიშნავთ მხოლოთ, რომ სხვა-და-სხვა გვარი დანაშაული ჩაუდენია როგორც გამგეობას ერთობლივ, ისე გამგეობის წევრთ ცალკ-ცალკე, ე. ი. თვით ქალაქის თავს ევანგულოვს და წევრებს: ხოსროევს, თ-დ არღუთინსკი-დოლგორუკოვს, ივანენკოსა და ვერმიშევს. როცა კითხულობ ხსენებულ ოქმს, ფიქრობ, ნუ თუ კიდევ დარჩა რაიმე მოვალეობა, რომელიც თფ. ქალაქის გამგეობას სისრულეში მოეყვანოს და ფეხით არ გაეთელოს! და მაშინვე გონს მოდიხარ, რადგანაც წინდაწინვე იცი, რომ ერთი არსებითი მოვალეობის შესრულება უთუოთ არ დაავიწყდებოდა არც ევანგულოვს და არღუთინსკი-დოლგორუკოვს, არც ხოსროევს და არც გამგეობის დანარჩენ წევრთ. ეს მოვალეობა გახლავთ ყოველ თვის ბოლოს კარგა ბლომათ ჯამაგირების აღება, იმ ჯამაგირების, რომლებიც შეგროვილია უმეტეს ნაწილათ ღარიბ მოქალაქეთა ნაოფლარისაგან. აი, ამას ჰქვია მთელი ქალაქის, ე. ი. 170 ათასი მცხოვრებლების აბუჩათ და მასხარათ აგდება. და ეს არა დაფარულათ, არამედ სრულიად აშკარათ და მოურიდებლათ. ან კი ვინ ყავდათ ისეთი, რომ თუ არ შეეშინდებოდათ, შერცხვენოდათ მაინც! ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობას საბჭოში წარმომადგენლები არა ჰყავს. ერთი მუჭა მდიდრების წარმომადგენლები კი ყოველთვის გამგეობის სრული ყმები იყვენ და იქნებიან. ზოგიერთი იმათგანი შესანიშნავი მყვირალები არიან ხოლმე, როგორც, მაგ., ხმ. ბაბოვი, მაგრამ ესენი ცირკის მოთამაშეთ უფრო წააგავან, ვინემ ჭკუამყოფელ ადამიანებს. საზოგადოთ ცნობილია, რომ თფილისის ქალაქის საბჭოს მოქმედება ამ უკანასკნელ წლებში უფრო წყლის ნაყვაა, ვინემ საქმიანი მსჯელობა. ამას ის მოყვა, რომ დაუდევრობა, თავისი პირდაპირ მოვალეობათა სრულიად მივიწყება სავსებით გამეფდა ქალაქის საქმეების მართვა-გამგეობაში. ამ მხრით ქალაქის თავი და გამგეობის წევრები ერთი-ერთმანეთს ეჯიბრებოდენ, ვინ უფრო დაუდევარი გამოვიდეთო.

ჩვენ წინდაწინ უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი სახელოვანი ადვოკატების მეოხებით, რომლებისთვის კაცის დანაშაულობა თუ უდანაშაულობა ფულის უბრალო ანგარიშს ნიშნავს და მეტს არაფერს, ხსენებული საბრალმდებლო ოქმი სხვა-და-სხვა სტატიების და სენატის განმარტებათა ჩვენებით გაბათილდება, სულ თუ არა, უმთავრეს მუხლებში მაინც. მაგრამ ჩვენთვის ეს სულ ერთია: ჩვენთვის მნიშვნელობა აბლაკატურ ხრიკებს კი არ აქვთ, არამედ ფაქტებს და სინამდვილეს. ფაქტები და სინამდვილე კი ბევრათ იმაზე მეტს ლაპარაკობენ, ვინემ საბრალმდებლო ოქმი. ერთი რომ მიიხედ-მოიხედოთ ამ ჩვენს კურთხეულ თფილისში და ცოტაოდენი მაინც დააკვირდეთ მის ქუჩებს, მის სანიტარულ მდგომარეობას, სხვა უმთავრეს მხარეებს რომ თავი დავანებოთ, თქვენ ნათლათ დაინახავთ, თუ რამდენათ ზრუნავს ქალაქის გამგეობა მცხოვრებთა ინტერესებზე. ამ ინტერესებზე ზრუნვა კი ქალაქის თვით-მართველობის არსებით მოვალეობას შეადგენს. მაშ რათ დაივიწყა ეს თფილისის ქალაქის საბჭომ და მისმა გამგეობამ? აქ ხომ მაინც მუქთათ არავინ მსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხურებს? მეორე მხრით, ზნეობრივი პასუხის-მგებელობის თუ არ რცხვენიათ, იურიდიული პასუხის-მგებელობის მაინც რათ არ ეშინიათ? სამწუხაროთ, ამ კითხვებზე პასუხს ჩვენ აქ ვერ მივცემთ, რადგანაც იგინი მეტათ რთული კითხვებია, ე. ი. ამ სამწუხარო მოვლენათა თავი მიზეზი თანამედროვე საერთო პირობებში უნდა ვეძიოთ; მხოლოთ იქ შეგვიძლია ჩვენ ვიპოვოთ იმათი გასაღები. რომ ეს ასეა, ამას გვიმტკიცებს ის გარემოება, რომ ამასვე ვხედავთ სხვა ქალაქებშიაც და არა მარტო ქალაქის საქმეებში, არამედ სხვა დაწესებულებებშიაც. მაგალითისთვის დავასახელებთ ქუთაისს. ყველამ იცის, რა გასაოცარი რამეები აღმოაჩინეს იქ ამ ერთი წლის წინეთ ერთ «სახელოვან» დაწესებულებაში. და განა თვით ქუთაისის ქალაქის საბჭო და მისი გამგეობა თავისუფალი არიან იმ ცოდვებიდან, რომლებიც თფილისის ქალაქის საბჭოს ჩაუდენია? არა გვგონია. მაგრამ ჯერჯერობით ეს ვიკმაროთ.

მოსაუბრე.

---

## სხვადასხვა-ამბები

დღეს, 24 ივნისს, ჟურნალ „Кавк. Вѣст.“ რედაქციაში დანიშნულია ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთა კრება, რომელიც განიხილავს ბეჭდვითი სიტყვის მოღვაწეთა ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების წესდებას.

---

გამოცხადდა შემდეგი უმაღლესი ბრძანება იმ გაფრთხილებათა ვადის განსაზღვრის შესახებ, რომელიც ეძლევა ცენზურისაგან თავისუფალ პერიოდულ გამოცემათ: 1) დასამატებლათ საცენზურო წესდების მე-144 მუხლისა დაწესდეს: პირველ გაფრთხილებას ძალა აქვს ერთი წლის განმავლობაში, თუ ამ დროს განმავლობაში პერიოდულმა გამოცემამ მეორე გაფრთხილება არ მიიღო. თუ გამოცემას ერთ წელიწადში მოუვიდა ორი გაფრთხილება, უკანასკნელს ძალა აქვს ორი წლის განმავლობაში. თუ ორი წლის განმავლობაში გამოცემას მესამე გაფრთხილება არ მოუვიდა, მაშინ აღნიშნულ ვადის გასვლის შემდეგ გამოცემა თავისუფალია გამოცხადებულ გაფრთხილებათაგან; 2) ამ კანონს ძალა აქვს იმ გამოცემათა შესახებაც, რომელთაც დღემდის მიუღიათ გაფრთხილება.

გამოცხადებულია შინაგან საქმეთა მინისტრის შემდეგი განკარგულება: ვინაიდგან გამოცხადდა უმაღლესათ დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს აზრი იმ გაფრთხილებათა ვადის განსაზღვრის შესახებ, რომელიც ეძლევა ცენზურისაგან თავისუფალ პერიოდულ გამოცემათ, საცენზურო წესდების 144 მუხლის ძალით, და რადგან ეს ახალი კანონი შეეხება აგრეთვე იმ გამოცემათ, რომელთაც მიიღეს გაფრთხილება ამ კანონის გამოცემამდე, შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: გაზეთები — „ბირჟ. ვედომ.“, „ვოსხოდ“, „რუსსკ. ვედ.“ და ჟურნალი „ხოზიაინ“, რომელთაც სამჯერ მიიღეს გაფრთხილება, განთავისუფლებულ იქმნან ხსენებულ 144 მუხლის შენიშვნის ზეგავლენისაგან.

---

თფილისის მექარხნეებს, რომელთაც ამას წინეთ მოლაპარაკება ჰქონდათ შრომის გაწესრიგების თაობაზე ადგილობრივ ქარხნებში, აუცილებელ საჭიროებათ უცვნიათ თფილისში საფაბრიკო ინსპექციის შემოღება. ეს კითხვა წინეთაც იყო აღძრული საკუბერნიო მთავრობის მიერ და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში თფილისსაც ეღირსება ეს ფრიად საჭირო დაწესებულება.

---

19 ივნისს კავკასიის სატეხნიკო საზოგადოების წევრთა კრებას დაუდგენია მომავალ შემოდგომაზე დააარსოს თფილისში მუშებისთვის სატეხნიკო კურსები.

---

გაზ. „კასპი“ აღნიშნავს საბუნჩის შტოის მაშინისტების გაჭირვებულ მდგომარეობას. მიუხედავათ იმისა, რომ სამინისტროს მიერ აკრძალულია ხანგრძლივი მუშაობა, იმათ მაინც ამუშავებენ დღეში 14 საათს გამოუცვლელათ. გარდა ამისა ის მცირე ჯამაგირ ბიც კი, რომლებიც იმათ თავის შრომისთვის ეძლევათ, მაშინისტები თავის დროზე ვერ ღებულობენ, მაშინ, როცა ეს პატარა გზა იძლევა იმოდენა შემოსავალს, რომ მას ამ მხრით ვერ შეედრება ვერც ერთი რკინის გზა რუსეთში.

---

ფინანსთა სამინისტროს დადგენილებით, კავკასიის გამოფენაზე გასაგზავნ ექსპონატებისათვის შემცირებულ იქმნება რკინის გზებზე გადასატანი გარდასახადი.

---

მომავალ გამოფენაზე იქნება სულ 43 პავილიონი.

---

რკინის გზის მმართველობას განუზრახავს დააარსოს ახალი თანამდებობა „მატარებლის უფროსისა“; ეს ახალი თანამდებობა იგივე კონდუქტორის თანამდებობა იქნება, ხოლო ამ ადგილზე განუზრახავთ მიიღონ განათლებული პირები, რადგანაც ეხლა კონდუქტორებათ იმისთანა პირები არიან, რომელთაც წერა-კითხვა ძლივს იციან, მათ ავტორიტეტი არა აქვთ, ყურს არავინ უგდებს, და ვერ იცავენ წესიერებასო.

---

შავი-ქვის მრეწველთა კრების საბჭომ ჭიათურაში დაარსა სახალხო თეატრი; თეატრი ოფიციალურათ გაიხსნება ხვალ, 25 ივნისს.

---

თფილისის ქალაქის სამოსწავლო კომისიამ დაასრულა პროექტი ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის რეფორმისა. პროექტი მალე საბჭოს წარედგინება.

---

გუშინ, 23 ივნისს, თფილისის სამოსამართლო პალატის სესია გაემგზავრა ქუთაისის გუბერნიაში, სადაც მას განსახილველათ დანიშნული აქვს საქმე ლეჩხუმის მაზრის უფროსათ ყოფილ სტატსკი სოვეტნიკის კონსტანტინე ზოსიმეს ძის აღშიბაიასი, რომელსაც, სხვათა შორის, შემდეგი ბოროტ-მოქმედების ჩადენა ედება ბრალათ: 1893 წ. აშარეშის გზის გასაკეთებლათ საერობო ფულიდან 1038 მან. გაფლანგვა, 1892 და 1893 წელს იმავე თანხიდან მურსისა და ორბელის ხიდების შესაკეთებლათ გადადებულ 728 მან. მითვისება და გაფლანგვა; ცაგერის და ზეგოის დარაჯებისა და ზეგოის საპყრობილეს შესანახ ხარჯათ გადადებულ 720 მან. 1889 და 92 წლებში მითვისება და გაფლანგვა და სხვანი. ამ საქმის გარჩევის დროს პალატის სესიის სხდომაზე დაბარებულია 90 მოწმე.

---

წარსულ ორშაბათს მუშტაიდში გაიხსნა მეფუტკრეობის და მეაბრეშუმეობის კურსები. ჯერჯერობით კურსებზე ჩაეწერა 40 კაცი, მათ შორის ცხრა ქალია.

---

ზუბალაშვილის სახელზე განზრახულ თავ-შესაფარის

ასაშენებლათ, როგორც ხარჯთ-აღრიცხვიდან გამოჩნდა, საჭირო იქნება 82.000 მან.

---

თფილისის ქალაქის გამგეობას ხელ-ახლა აღუძრავს კითხვა ავლაბარში პროგიმნაზიის დაარსების საჭიროებაზე.

---

თფილისის საბებიო ინსტიტუტში წელს კურსი დაასრულა სულ 41 ქალმა; ამათგან ოთხი ქართველია: ეფრ. მენაბდე, ან. სალუქვაძე, ვარვარიძე და ტყეშელაშვილი; ორი სომეხია, შვიდი ურია და დანარჩენი რუსები.

---

17 ამ თვეს კოჯორში სამ პოლიციელს, რომელნიც იქ გაგზავნილნი იყვნენ თფილისიდან ზაფხულობით წესიერების დასაცველათ, გაუძარცვავთ ვინმე გლეხი შიკაური, რომლისათვისაც წაურთმევიათ ერბო. გლეხს უჩივლია მძარცველ პოლიციელებისთვის, რომლებიც სამსახურიდან გადაუყენებიათ; ახლა თფილისის პოლიცმეისტერს შუამდგომლობა აღუძრავს საგუბერნიო მთავრობასთან, რომ დამნაშავენი სამართალში იქნენ მიცემულნი.

---

ქართველთა შორის წერა-კით. გამ. საზ. 1900 წლის ანგარიშიდან ჩანს, რომ საზოგადოებას წარსულ წელს ჰქონია თავის ხარჯზე 3 სკოლა და 7 სამკითხველო-ბიბლიოთეკა. სკოლებისა და ბიბლიოთეკებისათვის ფულით და ნივთებით აღმოუჩენია დახმარება 615 მანეთისა. გამოუცია ხუთი წიგნი: 1) დედა ენა გოგებაშვილისა, 2) იავნანამ რა ჰქნა მისივე, 3) კრებული რ. ჯაჯანაშვილისა, 4) წყარო არ. ქუთათელაძისა და 5) სიმღერები ფ. ქორიძისა. საანგარიშო წელს საზოგადოებას შემოსავალი ჰქონია 19.990 მანეთი 41 კ., გასავალი—19.235 მანეთი 15 კ. ასე რომ შემოსავალი აღემატება გასავალს 755 მანეთით და 26 კაპ.

---

ჩვენ მივიღეთ შემდეგი წიგნები: 1) ლეიპციგიდან Das Gewerbe in Georgien unter besonderer Berücksichtigung der primitiven Betriebsformen von Dr: Philipp Gogithschayschvili. Tübingen. 1901 (ხელოსნობა საქართველოში პირველ-ყოფილ წარმოების განსაკუთრებითი განხილვით დოქტორის ფილიპე გოგიჩაიშვილისა). ამ ფრიად საყურადღებო გამოკვლევის შინაარსს შემდეგ გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს. 2) „ივანეს ოჯახის თავ-გადასავალი“ პართენაშვილისა. გამოცემა ირემაშვილისა. წიგნი შეიცავს 32 გვერდს და ღირს ერთი შაური.

---

## კორესპონდენციები.

**სოფ. სურები** (გურია). 20 მაისს აქაურ სკოლის დარბაზში მოწვეულ იქმნა საგანგებო საზოგადო კრება ადგილობრივ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისა. სხვათა შორის ამ კრებაზე დასმულ იქმნა კითხვა სახალხო სამკითხველოს და საკვირაო სკოლის დაარსების შესახებ. თუ რამდენათ სასარგებლოა ეს საქმე, ამაზე ლაპარაკი მეტათ მიმაჩნია. ვიტყვი მხოლოთ, რომ ყოველივე საქმის მოწყობისათვის საჭიროა მოფიქრებული მოქმედება და არა აჩქარება. ამას ვამბობ იმიტომ, რომ ეს აჩქარება და მოუფიქრებლობა ეტყობოდა ამ საქმის დამწყებთ. საზოგადოება, როგორც მოსალოდნელი იყო, სიხარულით შეეგება ამ კეთილ განზრახვას და თავისი თანხმობა გამოაცხადა. მაშინ სთხოვეს საზოგადოებას, გადაედვა მას ამხანაგობის მოსაგებიდან 60 მან. ბუნდოვანი სურათებისთვის ფანრის საყიდლათ, რაც შეწყნარებულ იქმნა კრების მიერ. ეს კრების გადაწყვეტილება მიმაჩნია აჩქარებულათ და მოუფიქრებლათ, და აი რათა: ფანარი არ წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას, უიმისოთაც შეიძლება სახალხო კითხვების გამართვა; ფანრის მოპოვების შესახებ შემდეგ უნდა გვეზრუნა, ეს ფული უნდა გადაედვათ სამკითხველოს შენობის ასაგებათ, რადგანაც ამნაირი შენობა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ამ შეცდომას ახლა ბევრი გრძნობს და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში ეს შეცდომა გასწორდება.

დასასრულ უნდა ვთქვა, რომ კარგი იქნებოდა ადგილობრივმა ინტელიგენციამ, მოსწავლე ახალგაზრდობის დახმარებით, განასორციელოს უკვე აღძრული კითხვები, გამართოს სახალხო წარმოდგენები, სალიტერატურო საღამოები და სხ. ვფიქრობ, რომ ყველა ამის შესრულება არ იქნება საძნელო, თუ ისინი ცოტათი მაინც გაირჯებიან.

Jean.

---

**ს. ბარდნალა** (ლეჩხუმის მაზრა). სოფელი ბარდნალა მდებარეობს მდ. ცხენის-წყლის მარჯვენა ნაპირზე, დაბა ცაგერიდან შვიდი ვერსის მანძილზე. ამ სოფლის მცხოვრებნი შესდგებიან ექვსიოდე აზნაურთაგან და დანარჩენნი კი გლეხები არიან. უკანასკნელი ხუთი-ექვსი წლის წინეთ ეს სოფელი მოაგონებდა კაცს იმერეთის ერთ პატარა სოფელს, და აქ არსებობდა სამინისტრო სკოლა. მაგრამ ბედმა უმტყუნა ბარდნალელებს და ეს სულის ჩამდგმელი დაწესებულება ხელიდან გამოაცალეს მას. სკოლა გადაიტანეს ცაგერში, რომლის საზოგადოებასაც მიაკუთვნეს ბარდნალა და მით დაუხშეს აქაურ ბავშვებს სკოლის კარები, რადგან ცაგერში სიარული სიშორის გამო არ შეუძლიათ და შესაძლებელიც რომ იყოს, უნდა გადიხადონ სწავლის ქირათ 10 მანეთი თითო ბავშვზე, რაც მძიმე ტვირთს შეადგენს აქაურ გლეხისათვის. თუ რამდენათ ბრიყვი ხალხი ცხოვრობს ხსენებულ სოფელში, ამის დასამტკიცებლათ მოვიყვან შემდეგ ამბავს: 17 მაისს აქ მოვიდა ძლიერი წვიმა და სეტყვა, რამაც დიდი ზარალი მიაყენა სოფლის და ხალხიც ძლიერ დააშინა. ეს გარემოება ბარდნალელებმა ჩათვალეს ღვთის წყრომათ და მიზეზათ ამისა ამოიჩემეს ასათიანები, რომლებიც აბრეშუმს აკეთებენ. სოფელმა შეუთვალა ასათიანებს, რომ მათ ღვთის რისხვის ასაცდენათ დაეწვათ უკვე ამოკრეფილი აბრეშუმის პარკები, როგორც მიზეზი ღვთის წყრომისა, წინააღმდეგ შემთხვევაში პირდებოდენ ხატზე გადაცემას. რასაკვირველია, ასათიანებმა ამ უგუნურ თხოვნას ყურადღება არ მიაქციეს და პარკიც სურვილისამებრ გაყიდეს დ. ხონში. შემდეგისათვის ვნახოთ რა იქნება.

ვიქტორ ბარდნალელი.

---

## რუსეთის ცხოვრება.

10 ივნისს, მოსკოვის სახალხო აუდიტორიაში მოხდა მესამე კრება მექანიკური ქარხნების მუშებისა 140 კაცის თანდასწრებით. კრების გახსნისთანავე მუშების წარმომადგენლებმა წაიკითხეს და მიართვეს ადრესები თავის სამ ამხანაგს, რომელთა მეცადინეობით შემუშავებულ იქმნა წესდება მექანიკურ ქარხნებში მომუშავეთა საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოებისა. შემდეგ ბ. ვორმსმა განმარტა, თუ რა ნივთიერი და ზნეობრივი სარგებლობის მოტანა შეუძლია საურთიერ-

თო დამხმარებელ საზოგადოებას და აგრეთვე უჩვენა, თუ რა განსხვავება არსებობს დასავლეთ ევროპაში არსებულ «მუშათა კავშირებსა» და რუსეთის საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოებათა შორის. მაშინ როცა მუშათა კავშირებს შეუძლიათ მოახმარონ თავიანთი საშუალებანი იმ მიზნებს, რომლებსაც იგინი დროის შესაფერად სასარგებლოთ იცნობენ, ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოებათ ეს უფლება არა აქვთ: ეს უკანასკნელნი ახმარებენ თავის საშუალებას მხოლოთ იმას, რაც წინდაწინ განსაზღვრულია და წესდებაში ნაჩვენებია.

⊖⊖ საშუალო სკოლების გადაკეთებისთვის დაარსებულმა კომისიამ უკვე შეიმუშავა სამეცადინო საათების ცხრილი კვირის განმავლობაში, რომელიც უნდა შემოღებულ იქნას ახალ საშუალო სასწავლებლებში, რომლების დღევანდელ გიმნაზიების და რეალურ სასწავლებლების ადგილს დაიჭერენ. კვირეში იქნება სულ 209 სამეცადინო საათი, ამათში დაეთმობა: საღვთო სჯულს ყველა კლასებში 14 საათი კვირაში; რუსულ ენას ლიტერატურით ყველა კლასებშივე 30 საათი; ლათინური ენა დაიწყება მეოთხე კლასიდან და დაეთმობა 16 საათი; ერთი ახალი ენის სწავლებას ყველა კლასებში—20 საათი; მეორე ახალ ენას მესამე კლასიდან—16 საათი; ისტორიას ყველა კლასებში—19 საათი; გეოგრაფიას I–VI კლასებში—15 საათი; კოსმოგრაფიას მე-VII კლასში 2 საათი; კანონ-მდებლობას მე-VI–VII კლასებში—4 საათი; მატემატიკას I–VII კლასებში 28 საათი; ფიზიკას მეხუთე კლასიდან—9 საათი; ბუნების მეტყველებას პირველი კლასიდან 9 საათი; ხატვას 17 საათი და წერას 3 საათი.

⊖⊖ გამოვიდა მესამე წიგნი «რუსეთის სააქციონერო საქმეთა სტატისტიკისა», რომლიდანაც მოგვყავს აქ შემდეგი ცნობები: 1900 წლის ბოლოს რუსეთის სააქციონერო და პაიებზე დაარსებულ ამხანაგობათა რიცხვი 330 უდრიდა 336.833,249 მანეთის ძირის თანხით. ამ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში სააქციონერო კაპიტალს ასე უმატია: 1869 წელს სააქციონერო ამხანაგობათა ძირის თანხა უდრიდა 6 მილ. და 140 ათას მანეთს, 1879 წელს—28 მილ. და 455 ათას მან., 1889 წელს 45 მილ. 955 ათას მან. და 1899 წელს—490 მილ. და 878 ათას მან.

⊖⊖ თუ რაში გამოიხატება სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზის სამმართველოს მოღვაწეობა სახალხო განათლების საქმეში, ეს შეგვიძლია დავინახოთ ბ-ნ დასილოვის წიგნაკიდან: „Просвѣтительныя учрежденія на Юго-Зап. жел. дорогахъ“, რომელიც ამას წინეთ კიევში დაიბეჭდა. მოგვყავს ამ ბროშიურიდან უფრო საინტერესო ცნობები.

რაც შეეხება პირველ-დაწყებით სწავლას, ამ მხრით მდაბალ მოსამსახურეთა ბავშვები საკმარისათ უზრუნველყოფილნი არიან. მთელი სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზაზე ირიცხება 28 დაწყებითი სკოლა, მათში დაიარება 4,569 მოსწავლე ე. ი. 50% რკინის გზაზე მოსამსახურეთა სწავლისათვის სრულწლოვან ბავშვებისა. დანარჩენნი სწავლობენ საეროში და სამოქალაქო სკოლებში. რკინის გზის მმართველობა ზემოხსენებულ სასწავლებლების შესანახათ იხდის ყოველ წელს 69,000 მანეთს. სამწუხაროთ, სასწავლებლების შენობები ვერ იტევენ იმდენს, რამდენსაც საჭიროება მოითხოვს. ამის გარდა დაარსებულია პანსიონი კიევის გიმნაზიებში მოსწავლეთათვის და კიდევ სამი ტეხნიკური სასწავლებელი სამის წლის კურსით.

იმ პირთათვის, რომელთაც არ მიუღიათ სპეციალური ტეხნიკური განათლება, არსებობს აგრეთ წოდებული «სპეციალური ტეხნიკური კურსები რკინის გზაზე მოსამსახურეთათვის». ამ კურსების შესანახათ საზინა არავითარ ხარჯს არ ეწევა. 1899 წელში, ე. ი. მაშინ, როდესაც ზემოხსენებული კურსები იქმნა ნებადართული, კიევში კიდევ გაიხსნა სხვა სახის კურსებიც, რომლებიც წარმოადგენენ რკინის გზის უნივერსიტეტს ფართო პროგრამით. აქ სხვათა შორის ასწავლიან პოლიტიკურ ეკონომიას, სტატისტიკას, ბუღალტერიას, ფრანგულ და ნემეცურ ენებს და სხვ. მატერიალურათ ეს კურსები დიდ შევიწროებაში იყვნენ, და რადგანაც მსურველთა რიცხვი მეტათ ბევრი იყო, იძულებულნი გახდენ შემოეღოთ ერთგვარი წესი, ე. ი. მიეღოთ მხოლოთ ისინი, რომელთაც რკინის გზის მთავრობა წარადგენდა თავის რეკომენდაციით.

გარდა ამისა დაარსებულია კიდევ სახალხო კითხვები, უმეტეს ნაწილათ რკინის გზის სახელოსნოებში მომუშავეთათვის. კითხვების დაარსებას დიდი დაბრკოლება აღმოუჩნდა პირველში ნება დართვის მხრივ. პირველშივე ამ კითხვებმა დიდი ყურადღება მიიპყრეს და დღეს ესწრობა მას 3,000 კაცი. ამასთანავე კითხვები შემდეგ შემოიღეს ყველა უმთავრეს პუნქტებში.

1899 წლის დამლევს დაარსებულ იქმნა სახალხო თეატრიც. თეატრმა ბევრი ხალხი მიიზიდა, მაგრამ სამწუხაროთ იძულებულნი არიან 550 ადგილიდამ მუშებს მხოლოთ 320 ადგილი დაუთმონ, რათა შემოსავალმა ხარჯი დაფაროს. მუშებს ადგილი ეთმობათ 20-დან 10 კაპ. ასეთივე თეატრი დაარსეს სამს უმთავრესს სადგურებზედაც.

სკოლებისა, კურსებისა და თეატრების გარდა რკინის გზას აქვს აგრეთვე 13 საკუთარი სამკითხველო, რომლებიც ინახებიან საზინისა და კერძო პირების ხარჯით. ზოგიერთ ამ სამკითხველოებში 6,000 წიგნი ირიცხება. გარდა ამ სამკითხველოებისა, თვით ვაგონებითაც დააქვთ შვენივრათ მოწყობილი ბიბლიოთეკები იმათთვის, ვინც ვერ სარგებლობს ზემოხსენებულ სამკითხველოებით.

## წერილი ბელგიიდან.

მაისის დამლევს (26–27) პატარა ბელგიაში მოხდა 11-დე წლიური კონგრესები სხვა-და-სხვა საზოგადოებათა და ორგანიზაციათა. კონგრესების ასეთი სიმრავლე აქ სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა; და ეს ასეც უნდა იყოს. იმ ქვეყნებში, სადაც უკვე დაუნგრევიათ ადამიანის თაოსნობა-თვით-მოქმედების შემაფერხებელი საზოგადოებრივი ზღუდეები, სადაც ადამიანის გონება განთავისუფლებულია საშუალო საუკუნოების ბორკილებისაგან, ასეთ ქვეყნებში საზოგადოებრივი ცხოვრება დუღს და გადმოდის, ადამიანის აზრი და მოქმედება ალმა ფრენას მისცემია. კონგრესთა შორის უფრო საყურადღებო იყო: 1) ხმოსნების, 2) «ახალგაზდათა გვარდიის» (Jeunes gardes) ნაციონალური ფედერაციის და 3) «ძველ მეომართა» (Anciens militaires) კონგრესები და აგრეთვე 4) მუშათა პარტიის აგრარიული (სამიწათმოქმედო) კონგრესი, რომელიც მოხდა 9 ივნისს. რადგან ყველა ამ კონგრესებს უფრო ადგილობრივი მნიშვნელობა აქვთ, ამიტომ ჩვენ აქ მხოლოთ ორიოდე სიტყვით აღვნიშნავთ მათ.

1. სოციალისტთა პარტიის წარმომადგენელნი ადგილობრივ თვით-მართველობაში უკვე ხუთი წელიწადია, რაც შეერთებულნი არიან ერთ ორგანიზაციათ, ფედერაციის სახელწოდებით. ესენი შეერთებული ღონით არკვევენ ყოველ-დღიურ მოქმედების პროგრამას, იმუშავებენ

სხვა-და-სხვა საქალაქო რეფორმების პროექტებს; სცემს საქალაქო თუ კომუნალურ კითხვების შესახებ სპეციალურ ბიულეტენს (ცნობათა ფურცელს) [1]). როგორც კონგრესზე წაკითხულ ანგარიშიდან ჩანს, ფედერაციას ჰყოლია 900-დე წევრი. კასაში ჰქონიათ $2^1/_2$ ათასი ფრანკი (საწევრო გადასახადია 3 ფრ.). კონგრესმა განიხილა სხვათა შორის მოხსენება შესახებ შემოსავალზე გაწერილ პროგრესიულ გადასახადისა, ზომები იმის შესახებ, რომ სახლებზე დადებული გადასახადი მესაკუთრეთ არ შეაკეცონ ხოლმე სახლის ქირას.

შემდეგ კონგრესმა მაგალითებით და ციფრებით ხელში ერთხელ კიდევ გამოააშკარავა ის გარემოება, თუ რამდენათ სასარგებლოა, რომ ქალაქისათვის საჭირო წარმოება (გაზი, ელექტრონი, წყალი, მიმოსვლა და სხ.) სრულდებოდეს თვით ქალაქის მიერვე და არა კერძო კამპანიებისაგან. იქ, სადაც პატარა ქალაქები და კომუნები საკუთარი ღონით ვერ გასწვდებიან საქმეს, საკმაო კაპიტალის და მომხმარებლის უქონლობის გამო, საჭიროა მათი შეერთება. თუმცა მეტათ ცხადია, რომ საზოგადო წარმოება სჯობია კერძოს ყოველი მხრით, — შენიშნა რამდენმამე დელეგატმა,—მაინც თვითოეული კერძო შემთხვევა გულდასმით უნდა იქმნას განხილული და შესწავლილი გამოცდილ სპეციალისტებისაგანო. კონგრესზე უბრალო მუშის გვერდით ხედავდით ინჟენერებს, ექიმებს, იურისტებს, პედაგოგებს და სხ. და სხ. დასასრულ კონგრესმა განიხილა კითხვა შესახებ საზოგადოებრივი ქველ-მოქმედებისა [2]) და მიიღო ასეთი დადგენილება: ვინაიდან საზოგადოებრივი ქველ-მოქმედების არსებული სისტემა (მოწყალების გაცემა) უვარგისია იმ მხრივ, რომ ხელს უწყობს სილატაკის არსებობას, ნაცვლათ იმისა, რომ ამცირებდეს მას, პარტიის ხმოსნები იმეცადინებენ, რათა მთავრობამ ახლო მომავალში წარუდგინოს პარლამენტს კანონ-პროექტი, რომლითაც არსებულ საქველ-მოქმედო დაწესებულებათა მაგიერ დაარსდება საზოგადო დაზღვევა წინააღმდეგ ავადმყოფობისა, უმუშევრობისა, დასახიჩრებისა და სიბერისა; ამ კანონის გამოცემამდე კომუნალური ადმინისტრაციები შეადგენენ თავიანთ მფარველობით საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებათ ავადმყოფობის წინააღმდეგ. წევრებათ შევლენ ყველა ის ოჯახები, რომლებიც კი დახმარებას იღებენ საქველ-მოქმედო ბიუროებისაგან. კომუნალური ადმინისტრაციები საწევრო წიგნაკებს დაურიგებენ ყველა ახლათ შეულლებულთ და თვითვე გადიხდიან პირველი წლის საწევრო ფულს.

2 და 3. «ახალგაზდათა გვარდიის» ნაციონალური ფედერაციის სპეციალური საგანია ბრძოლა მილიტარიზმის წინააღმდეგ. ამ ორგანიზაციის პირველი ჯგუფი დაარსებულა 1886 წ. სახელწოდებით «რესპუბლიკანური გვარდია». მისი დაარსება გამოუწვევია ამ წელს მომხდარ დიდ პოლიტიკურ მოძრაობას, როცა ხალხის მღელვარების ჩასაქრობათ მთავრობას აუმოძრავებია ჯარები და რამდენსამე ადგილას მომხდარა სისხლის ღვრა. „გვარდიას“ მიზნათ აელო ცნობიერების შუქი შეეტანა სალდათებს შორის, აეხსნა მათთვის, თუ საიდან მომდინარეობს თანამედროვე სახელმწიფოთა სამხედრო ძალა, რას ემსახურება იგი და როგორ უნდა შეიცვალოს. «რესპუბლიკანურ გვარდიას» ვერ გაუძლია პოლიციის სასტიკი დევნისათვის და მალე დაშლილა. რამდენიმე თვის შემდეგ ხელ-ახლა შემდგარა ახალი სახელწოდებით «ახალგაზდათა გვარდია». და ეხლა მკვიდრი ნიადაგიც მოუპოვებია. რამდენიმე წელში ამგვარი ჯგუფებით მოფენილა ბელგიის ყველა კუთხეები. ცალკე პროვინციების ჯგუფების კავშირი (ფედერაციები) 1894 წ. შეერთებულან საერთო ნაციონალურ ფედერაციათ [3]). დღეს ამ ორგანიზაციაში ითვლება 120 ჯგუფი; წევრთა რიცხვი აღემატება ათიათასს (10.000). ორგანიზაციის წევრნი მხნეთ ქადაგებენ მუშათა პარტიის მოძღვრებას ახალგაზდობაში საზოგადოთ და კერძოთ სალდათებს შორის. ახდენენ მრავალ მანიფესტაციებს, განსაკუთრებით როცა ახლოვდება ხოლმე ახალგაზდათა ჯარში გაწვევის დრო; მართავენ მიტინგებს, „კონფერანსებს“, აარსებენ თვით-განვითარების წრეებს, სცემენ ბროშიურებს და გაზეთებს. ნაციონალურ ფედერაციას აქვს ოფიციალური ჟურნალი „ანტიმილიტარისტი“. გარდა ამისა სცემენ გაზეთებს: «სალდათი», რომელიც იბეჭდება 60 ათას ეგზემპლიარათ და «კაზარმა»—ორმოცი ათას ეგზემპლიარათ.

«ძველ მეომართა» ორგანიზაციას სრულათ იგივე პროგრამა აქვს, რაც «ახალგაზდათა გვარდიას». ამათში ერთათ ერთი განსხვავებაა ის, რომ უკანასკნელ ორგანიზაციაში შედის ახალგაზდობა, პირველში კი ისინი, ვისაც სამხედრო სამსახური უკვე მოუხდია. უკვე კითხვაა აღძრული ორივეს გაერთიანებაზე. «ძველი მეომარნი» ორი წელიწადია, რაც არსებობს. ორგანიზაციაში 17 ჯგუფი და 2.500-დე წევრია.

ორივე კონგრესის უმთავრესი განსახილველი საგანი იყო მოსალოდნელი სამხედრო რეფორმა. საერთო თანასწორი საარჩევნო უფლების შესახებ «ახალგაზდათა გვარდიის» კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც მოუწოდებს ორგანიზაციის ყველა ჯგუფებს, რომ იმ შემთხვევისათვის, უკეთუ სამართლიანობა (პოლიტიკური სრული თანასწორობა) ვერ გაიმარჯვებს მშვიდობიანი გზით, შეამზადონ ხალხი რევოლიუციური მოძრაობისათვის. აგრეთვე «კონგრესი მოუწოდებს სალდათებს, ხალხის შვილებს, რომ მათ პირნათლათ შეასრულონ თვისი ვალი ქვეყნის წინაშე მომავალი ბრძოლის დროს».

4. აგრარიული კონგრესის საგანი იყო პარტიის მოქმედება სოფლათ და სოფლელი ხალხის ორგანიზაცია. იგულისხმება სოფლის დღიური მუშები, დაქირავებულ მიწაზე მომუშავე წვრილი მეურნენი და წვრილი მესაკუთრენი, რომელნიც თუმცა წელებზე ფეხს იდგამენ, მაგრამ უკიდურეს სიღარიბეს მაინც თავს ვერ აღწევენ. ამათი რიცხვი იქნება $1^1/_2$ მილიონამდე. აქვთ სოფლელთათვის დანიშნული ოფიციალური ორგანო — ყოველკვირეული — «მუშაკი». მისი ხელის-მომწერთა და მკითხველთა რიცხვი შესანიშნავათ მატულობს ყოველ წლივ, როგორცა ჩანს კონგრესზე წაკითხული მოხსენებიდან.

გლეხთა ორგანიზაციის უმთავრესი ფორმაა კოოპერატიული ამხანაგობა, რაიც შესანიშნავ სამსახურს უწევს

---

1) ეს ჟერხანობით იბეჭდება პარტიის ყოველთვიურ ჟურნალ «L'Avenir Social»-თან.

2) ყველა კომუნალურ გამგეობასთან არსებობს ღატაკთა დამხმარებელი „საქველ-მოქმედო ბიუროები“.

3) გასულ წელს პარიჟში სხვა-და-სხვა ქვეყნების ამგვარ ორგანიზაციათ მოახდინეს პირველი საერთაშორისო კონგრესი.

საზოგადოთ ბელგიის მუშებს. სოფლის ყველა კოოპერაციები თურმე ჩინებულათ მოქმედობს, მაგ., ერთ ხელათ გახსნილ კოოპერაციას, რომელიც შესდგება ექვსი სექციისაგან (პატარა კოოპერაციისაგან), 1-ლ იანვარს ჰყოლია 237 წევრი, 1-ლ მაისს 285, შემოსავალი 5 თვეში 27 ათასი ფრანკი. ძირის თანხა 15 ათასი ფრანკი. კონგრესისაგან მიღებულ დადგენილებათა აზრი კოოპერაციების შესახებ ასეთია: დაარსდეს მჭიდრო კავშირი ქალაქისა და სოფლის კოოპერატიულ ამხანაგობათა შორის. ქალაქის მომხმარებელი კოოპერაციები უნდა უგზავნიდენ თავის მაღაზიებიდან სოფლის მწარმოებელ კოოპერაციებს[4]) საქონელს მათ შორის სპეციალურათ მეურნეთათვის საჭირო ნაწარმოებს და მოჰქონდეს იქიდან სამეურნეო ნაწარმოებნი. ერთი სიტყვით, ეს კოოპერაციები ერთიმეორის ბაზარს უნდა შეადგენდეს. არჩეულ იქმნა დელეგატი ქალაქის კოოპერატიულ ამხანაგობათა ფედერაციასთან მოსალაპარაკებლათ დასახელებული აზრის სავსებით განსახორციელებლათ. გარდა ამისა კონგრესმა შეიმუშავა ასეთი გეგმა მოქმედების: დაარსდეს სოფლის მუშათა შორის სინდიკატები, ე. ი პროფესიონალური ამხანაგობანი შრომის პირობათა გასაუმჯობესებლათ; საურთიერთო დამხმარებელი კასები; შედგეს თვით-განვითარების წრეები; დაარსდეს ბიბლიოთეკები—მუდმივი დიდ სოფლებისათვის, მოძრავი პატარა სოფლებისათვის; შედგეს დრამატიული, მუსიკალური და მომღერალთა დასები, სისტემატიურათ იმართებოდეს „კონფერანსები“ ანუ ლექციები, რომელთა საგანი იქნება მუშათა პარტიის სწავლა-მოძღვრება, ისტორია, პროგრამა და ტაქტიკა.

ლ დ.

---

## როგორც ჰქუხს, ისე არა წვიმს.

მოწყალეო ხელმწიფევ! თქვენ გსურთ გაიგოთ ჩემი აზრი «ივერიაში» დაბეჭდილ ბ. მარველის «ბელგიაში მოგზაურობის» შესახებ. მართალი გითხრათ, ამ შემთხვევაში მეც თქვენი აზრისა ვარ, ე. ი., რომ ის არაფრათ არ ვარგა. მაგრამ თქვენ ამბობთ, რომ ის წერილები ასე თუ ისე შთაბეჭდილებას ახდენენ იმ მკითხველებზე, რომელნიც არ გაცნობიან მათში აღძრულ კითხვებს. რაკი ასეა საჭიროთ მიმაჩნია მათი დაწვრილებით გარჩევა. დავიწყოთ მის ფილოსოფიიდან.

ბ. მარველი მეტის მეტი ზიზღით იხსენიებს ჰეგელის ფილოსოფიას, ხოლო თვით ჰეგელს კი ეძახის რეაქციონერს. მაგრამ ფილოსოფოსს რომ რეაქციონერი უწოდო, ეს სრულებით არ ნიშნავს მისი ფილოსოფიის დასასიათებას. მოაზრეს, მიუხედავათ იმისა, რომ ის შეიძლება საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეაქციონული მიმართულების თანამგრძნობი იყოს, შეუძლია ისეთი ფილოსოფიური სისტემა შექმნას, რომელიც ღირსი იქნება არა თუ სრული ყურადღების, არამედ თანაგრძნობისაც კი პროგრესისტების მხრით. უნდა შეგეძლოს გაარჩიო ერთი მეორისაგან მწერლის თეორეტიული მოსაზრებანი და ის პრაქტიკული დასკვნები, რომელნიც თვით მას გამოჰყავს თავის თეორეტიულ მოსაზრებათაგან. პრაქტიკული დასკვნები შეიძლება შემცდარნი ან მავნენი იყვენ კაცობრიობის წინმსვლელობისათვის. მაგრამ იმავე დროს ის თეორეტიული მოსაზრებანი, რომლებზედაც აშენებულია ეს შემცდარი ან მავნე დასკვნები, შეიძლება უტყუარიცა და სასარგებლოც იყვენ —სასარგებლო იმ აზრით, რომ თუ მას მართლათ გავიგებთ, ის მოგვცემს სულ ახალ დასკვნას, დასკვნათა მთელ წყებას პროგრესიულ მიმართულებათა დასაცველათ. ამიტომაც შეუძლებელია ეპიტეტებით — რეაქციონერი ანუ პროგრესისტი — დავახასიათოთ ფილოსოფოსის თეორეტიული ღვაწლი ან შეცდომანი. ვისაც ფილოსოფოსის გაქარწყლება მოუსურვებია მოაზრე კაცობრიობის თვალში, მან უნდა ჯერ დასცეს მისი მოძღვრების თეორეტიული ნაწილი. მხოლოთ ამის შემდეგ ექნება მას უფლება მიგვითითოს მის იმ პრაქტიკულ მიმართულებაზე ან საზოგადოებრივი წრის იმ გავლენაზე, რომელმაც აიძულა მოაზრე, დაემახინჯებია ჭეშმარიტება ან ხელი შეეშალა მას ჭეშმარიტება გამოერკვია. ასეთ პირობებში მოაზრის პოლიტიკურ სიმპატიაზე (რეაქციონერი, პროგრესისტი და სხვ.) მითითება ხელს შეუწყობს მის შეცდომათა გენეზისის (წარმოდგომის) ახსნას. ხოლო თუ ამ პირობებს არ დავიცავთ, კრიტიკა ბრალდებათ იქცევა, ბრალდება კი გამოდის უბრალო საყვედური. საყვედურს შეიძლება უკეთილშობილესი მოსაზრება ედოს სარჩულათ, მაგრამ კრიტიკის მაგივრობას ის ვერას გზით ვერ გასწევს.

ბ. მარველი კრიტიკას კი არ უშვრება ჰეგელს, არა, ის მხოლოთ უსაყვედურებს მას. ვუნდტზე მითითება სრულებით არაფერს არ ამტკიცებს, რადგან მის მიერ მოყვანილი ფრაზები შეიცავენ მხოლოთ უმოტივო (უსაბუთო) განაჩენს. ან იქნება ბ. მარველი ფიქრობს, რომ ჩვენ უნდა ვერწმუნოთ ვუნდტის ავტორიტეტობას? მაგრამ ავტორიტეტობა ვერაფერი ხელმძღვანელია ფილოსოფიაში; კაცობრიობას რომ მუდამ მტკიცეთ სწამებოდა ავტორიტეტობა, იცით, ბ. მარველო, რომ ჩვენ ახლა არც ფილოსოფია და არც სხვა რამ ცოდნა გვექნებოდა. მაგრამ შეიძლება, და მეც ვფიქრობ, ბ. მარველი სრულიად არა გვთხოვს ვერწმუნოთ ვუნდტის ავტორიტეტობას. უფრო დასაჯერია, რომ მან მიგვითითა ამ მწერლის სიტყვებზე, როგორც ჭკვიანი და სწავლული კაცის აზრზე; რასაკვირველია, ჭკვიანი და სწავლული კაცის აზრი ყოველთვის საინტერესოა: მაგრამ უბედურობა ის არის, რომ ეს ჭკვიანი და სწავლული კაცები ხშირათ არ ეთანხმებიან ერთმანეთს და ამიტომაც იმაზე ადვილი არაფერია, რომ ასეთ შემთხვევაში ერთი ჭკვიანი და სწავლული კაცის აზრს წამოვუყენოთ წინ მეორე ასეთივე ჭკვიანი და სწავლული კაცის აზრი. ბ. მარველი, რასაკვირველია, დამეთანხმება, რომ ეს გარემოება ძალიან ართულებს საქმეს.

ბ. მარველს მოჰყავს ვუნდტის აზრი. მას ამის სრული უფლება აქვს, მაგრამ ამავე უფლებით მეც მინდა ვისარგებლო და მიგითითოთ ჯერ-ჯერობით რუსის მწერალზე, რომელიც მეტის-მეტათ ჭკვიანი იყო ბუნებით და რომელმაც (როგორც მის «დღიურიდან» ჩანს) კარგა ბევრი დრო შესწირა ჰეგელის ფილოსოფიის საფუძვლიანათ შესწავლას. ამ კაცის სახელია ა. ი. გერცენი (ან და გვარი ასე შევსცვალოთ: ეს კაცია ავტორი იმ შესანიშნავ მოგონებათა რომელთაც ეწოდება—«Былое и думы»—«ყოფილი და ფიქრები» და არა ნაკლებ შესანიშნავი რომანის—«Кто Виноватъ»—«ვინაა დამნაშავე»).

«რაკი ჰეგელის ენას შევეჩვიე და ვსძლიე მისი მეთოდი, —ამბობს გერცენი,—შევნიშნე, რომ ის უფრო უახლოვდება ჩვენს შეხედულებას, ვინემ შეხედულებას თავის მიმდევართა. ასეთია ის პირველ ნაწერებში, ასეთია ის ყველგან, სადაც კი მისი გენიოსობა ძალი მერანივით მიჰქროდა წინ და სრულიად

[4]) როგორც, მაგ., სარძევე ქარხნები, რაც მეტათ გავრცელებულია ბელგიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივიწყებდა «ბრანდენბურგის კარებს». ჰეგელის ფილოსოფია —წინმსვლელობის ალგებრაა, ის სავსებით ათავისუფლებს ადამიანს და ქვა-ქვაზედაც არ სტოვებს იმ... ძველიდან, უკვე დასახელებულიდან. მაგრამ შეიძლება მისი ფილოსოფია განზრახ არის ცუდათ ახსნილი».

რუსეთის «ნაროდნიკულ» და «სუბიექტურ» მიმართულების მწერლები, — მსგავსათ ბ. მარველისა, - ძალიან მტრულის თვალით შესცქერიან ჰეგელს, რომელსაც იგინი, — მსგავსათ ბ. მარველისა, — სრულებით არ იცნობენ. მაგალითათ, მათ ჰგონიათ, რომ ჰეგელმა ცუდი გავლენა იქონია გენიოსს ბელინსკიზე, რომელმაც, ვითომ, მხოლოთ მაშინ დაიწყო რიგიანი აზროვნება, როცა „გამოესალმა ნემეცთა ფილოსოფოსის ფილოსოფიურ ხუფს“ (КОЛПАКЪ). ამ რამდენისამე წლის წინათ რუსულ პერიოდულ გამოცემებში დაამტკიცეს, რომ ჰეგელის ფილოსოფიით გატაცება მოწმობდა ბელინსკის დიად თეორეტიულ მოთხოვნილებას და არა შემთხვევაში არ შეიძლება შევხედოთ მას ისე, როგორც მისი გონებრივი განვითარების შეჩერების ხანას. იქავე დაამტკიცეს, რომ თუმცა ის «გამოესალმა ჰეგელის ფილოსოფიურ ხუფს», მაგრამ არასოდეს არ დაუტოვებია ჰეგელის ფილოსოფიური შეხედულობანი *). «ბელინსკიმ დასტოვა ჰეგელის ცალ-მხრივი გაგება და არა მისი ფილოსოფია — ამბობს გერცენი. პირიქით, სწორეთ აქედან იწყება მისი ფილოსოფიურ იდეათა ცოცხალი, მკვირცხლი და ორიგინალური შეთანხმება პროგრესიულ იდეებთან».

რა გამოდის აქედან? ისა რომ ჰეგელის ფილოსოფიურ იდეებს ადვილათ შეეძლოთ პროგრესიულ იდეებთან შეთანხმება. გამოდის კიდევ ისა, რომ რუსეთის ლიტერატურაზე დიდი, დიდი ღვაწლი მიუძღვის ჰეგელს ერთ უნიჭიერეს წარმომადგენელის მეოხებით. ეს კი როგორც ხედავთ, სრულებით არა ჰგავს იმას, რასაც რუსეთის «ნაროდნიკები» და «სუბიექტივისტები» ჩაგვჩიჩინებდენ და მათ შემდეგ კი ეს ჩვენი სასტიკი ბ. მარველი.

მე წინადადებას ვაძლევ ბ. მარველს დაარღვიოს ჩემ მიერ მოყვანილი აზრი ა. ი. გერცენისა.

მაგრამ ნუ დაავიწყდება, რომ, როცა ის მის დარღვევას შეუდგება, მან უნდა უთუოთ მიაპყროს მისი კრიტიკული ყურადღება მეორე რუსის მწერალს. ეს მწერალიც ჭკვიანი კაცი იყო და — მსგავსათ გერცენისა, ხოლო განსასხვავებლათ ბ. მარველისაგან — იცოდა და ესმოდა ჰეგელის ფილოსოფია. ამ კაცის სახელია ნ. გ. ჩერნიშევსკი.

ჩერნიშევსკი საკმაოთ დაწვრილებით ლაპარაკობს ჰეგელზე «რუსეთის ლიტერატურის გოგოლის ხანას აღწერილობაში» შესახებ მისი გატაცებისა სტანკევიჩის და ბელინსკის წრეებით. მისი სიტყვით, ჰეგელის უმთავრესი და დიადი ღვაწლი იმაში მდგომარეობს, რომ მან გამოიყვანა ფილოსოფია განყენებულ აზროვნებათა სამფლობელოდან და ყურადღება მიაპყრო სინამდვილეს. «სინამდვილის ახსნა ფილოსოფიურ აზროვნების არსებით ვალდებულებათ იქცა. ამან გამოიწვია სინამდვილესადმი მეტი ყურადღება, რაზედაც წინათ არც კი დაფიქრებულან და უნამუსოთ ამახინჯებდენ მას, სინამდვილეს, თავის საკუთარ ცალმხრივ წინდაწინ ამოჩემებულ რწმენის (предубѣжденіе) სასარგებლოთ... მაგრამ ნამდვილათ ყველაფერი დამოკიდებულია გარემოებათა და ადგილისა და დროის პირობებზე — ამიტომაც წინანდელი ზოგადი ფრაზები, რითაც მსჯელობდენ კეთილისა და ბოროტის შესახებ განუსჯელათ იმ მიზეზებისა, რომელთა მეოხებით ჩნდებოდა ესა თუ ის მოვლენა, და საზოგადოთ, ზოგადი განყენებული თქმულებანი ვერა სცნო ჰეგელმა საკმაოთ. განყენებული ჭეშმარიტება არ არსებობს, ჭეშმარიტება კონკრეტულია, ე. ი. გადაჭრილი მსჯელობა შეიძლება წარმოითქვას მხოლოთ გარკვეულს ფაქტზე, მხოლოთ მას შემდეგ, როცა გაიშინჯება ყველა ის გარემოებანი, რომელზედაც ის დამოკიდებულია» *).

მეორე ადგილას — სახელდობ იმ წერილში, რომელიც თავის საკუთარ თხზულების: «ხელოვნების ესტეტიური დამოკიდებულება სინამდვილესთან». ის გარჩევას მოანდომა, — ჩერნიშევსკი შემდეგ ნაირათ ახასიათებს თავის დამოკიდებულებას ჰეგელთან:

«ხშირათ ვხედავთ, რომ მეცნიერული შრომის გამგრძელებნი ეწინააღმდეგებიან თავის წინამორბედს, რომლის შრომაც მისი შრომის ქვაკუთხედს შეადგენდა. მაგალითათ არისტოტელი მტრულათ უყურებდა პლატონს, სოკრატი უსაზღვროთ ამცირებდა სოფისტებს, რომელთა შრომასაც თვით განაგრძობდა. ამ ახალ დროშიაც ვხედავთ ამის მაგალითებს. მაგრამ ზოგჯერ სასიამოვნო შემთხვევათ ხდება, რომ რომელიმე სისტემის დამაარსებელს ნათლათ ესმის ის კავშირი, რომელიც არსებობს მისსა და მის წინამორბედის აზრს შორის და მდაბლათ აღიარებს თავს მის მოწაფეთ; როცა ის წინამორბედის აზრებში ნაკლს ააშკარებს, ამასთან ერთათ ააშკარებს მასაც, თუ რა დახმარება გაუწიეს მისმა აზრებმა თავის საკუთარ აზრთა განვითარებას. ასეთი იყო, მაგალითათ, სპინოზას დამოკიდებულება დეკარტთან. თანამედროვე მეცნიერების დამაარსებელთა სასახელოთ უნდა ითქვას, რომ ისინი პატივით და თითქმის მამაშვილური სიყვარულით ეპყრობიან თავიანთ წინამორბედებს, სწამთ მათი გენიოსობის სიდიადე და კეთილშობილური ხასიათი მათი მოძღვრებისა, რომელშიაც გვიჩვენებენ თავის საკუთარ შეხედულობათა ჩანასახს». ბ. ჩერნიშევსკის ესმის ეს და ჰბაძავს მათ, რომელთა აზრებსაც იმეორებს თავის ესტეტიურ კითხვებში, მისი დამოკიდებულება ესტეტიურ სისტემასთან, რომლის ნაკლულევანების დამტკიცებასაც ის ცდილობს, სრულებითაც მტრული არ არის; ის აღიარებს, რომ მასში იმ თეორიის ჩანასახიც არის, რომლის აშენებასაც თვითონ ცდილობს, რომ ის მხოლოთ ავითარებს არსებითათ საყურადღებო მომენტებს, რომლებიც წინანდელ თეორიაშიც იყვნენ, მაგრამ ეწინააღმდეგებოდენ სხვა შემეცნებებს, რომელთაც ის, თეორია, მეტ ყურადღების ღირსათ სცნობდა და რომელნიც, მისი აზრით, კრიტიკას ვერ უძლებდენ. ჩერნიშევსკი მუდამ ცდილობს მჭიდრო კავშირი დაგვანახოს მის სისტემასა და წინანდელ სისტემას შორის, თუმცა არც მას ჰფარავს, რომ მათ შორის არსებითი განსხვავებაცაა.

მკითხველისათვის რომ გასაგები იყოს ჩერნიშევსკის ასეთი კატეგორიული განცხადება წინამორბედებთან თავის დამოკიდებულების შესახებ, საჭიროა ცოტაოდენი ახსნაც მივაყოლოთ მას. ბ. მარველი ცუდს არ იზამს, თუ კარგათ ჩაუკვირდება ამას.

ჩერნიშევსკის თხზულება «ხელოვნების ესტეტიური დამოკიდებულებანი სინამდვილესთან» იყო კრიტიკა ნემეცთა ცნობილი მწერლის ფიშერის ესტეტიური სისტემისა, იმ ფიშერის, რომელიც წმინდა ჰეგელიანელი იყო. თუ ჩერნი-

*) იხ. ჟურ. „Новое слово“-ში კამენსკის წერილები.

*) იხ. Современникъ, 1856, № 9 კრიტიკა. გვ. 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევსკიმ საჭიროთ სცნო საყოველთაოთ გამოეცხადებია, რომ ას თავის თხზულებაში აზრათაც არა აქვს ფიშერთან მტრული დამოკიდებულება, აქედან ჩანს, რომ მას მაინც მიაჩნია მტრული შეხედულება ჩანერგოს რუსეთის მკითხველ საზოგადოებაში ჰეგელის ფილოსოფიურ სისტემაზე *). შემდეგ, ვინ ჰყავდა სახეში ჩერნიშევსკის, როცა თანამედროვე მეცნიერების დამფუძნებლებზე ლაპარაკობდა? ცხადია, ფეიერბახი, რომლის შეხედულებითაც ხელმძღვანელობდა ის ესტეტიკაში და არა მარტო ესტეტიკაში. მისი სიტყვით თანამედროვე მეცნიერების დამფუძნებელნი პატივით და მამაშვილური სიყვარულით ეპყრობიან თავის წინამორბედთ, სრულიად სწამდათ მათი გენიოსობის სიდიადე და კეთილშობილური ხასიათი მათი მოძღვრებისა, რომელშიაც ხედავენ თავის საკუთარ შეხედულებათა ჩანასახს. ვინ იყვნენ ეს «თანამედროვე მეცნიერების დამფუძნებელთა» წინამორბედნი? ამ კითხვაზე ბ. მარველსაც გაუჭირვებლათ შეუძლია გვიპასუხოს: ფეიერბახის წინამორბედნი ფილოსოფიაში იყვნენ ნემეცთა დიდებული იდეალისტები. ფეიერბახსთან სხვა ნემეცთა იდეალისტებზე უფრო ახლოს იყო ჰეგელი, რაც ყველას ესმის, ვინაც კი ნემეცთა ფილოსოფიის ისტორიას იცნობს და რაზედაც თვით ჩერნიშევსკიც გვითითებს. გამოდის, რომ, ჩერნიშევსკის აზრით, ფეიერბახისათვის დიდათ სასახელო იყო ის გარემოება, რომ ის ჰეგელს მტრულათ კი არ ექცეოდა, არამედ პატივით და თითქმის მამაშვილური სიყვარულითაც კი. ჩერნიშევსკიც საჭიროთ ხედავს აღნუსხოს, რომ ისიც სწორეთ ისე ეპყრობა ჰეგელს, როგორც, მისი სიტყვით, ეპყრობოდა მას ფეიერბახი. ეს როგორღაც ძალიან არა ჰგავს იმ უარმყოფელ დამოკიდებულებას «რეაქციონერ» ჰეგელთან, რომელსაც ვხედავთ ბ. მარველის წერილებში. რითი აიხსნება ასეთი სხვა-და-სხვაობა? სულ უბრალოთ, ჩერნიშევსკი იცნობდა ჰეგელს, ხოლო ბ. მარველს «ინჩიც» არ გაეგება მისი **).

ჩერნიშევსკიმ ჰეგელისადმი პატივისცემის უბრალო განცხადება კი არ იკმარა. მან,—ჩვეულებისამებრ,—მოკლეთ, სადათ აგვიხსნა, თუ რისთვის ასე ეპყრობა ჰეგელს და არა სხვა გვარათ: მას ესმოდა (ეს, როგორც უკვე იცის მკითხველმა, მისი სიტყვებია), რომ ჰეგელის სისტემაში გამოსჭვიოდა იმ თეორიის ჩანასახი, რომლის აშენებასაც თვითონ ჰფიქრობდა, და რომ მან მხოლოთ განავითარა, განმარტა არსებითათ საყურადღებო მომენტები, რომლებიც «წინანდელ თეორიაშიაც იყვნენ». ამის გამო ჩერნიშევსკისაგან ჰეგელის პატივისცემა უმეცარისათვისაც კი აღარ არის საოცარი: ვინ იქნება ისეთი, თუ არ გულწრფელობას მოკლებული და განდიდებით ავადმყოფი, რომ ნება მისცეს თავს ზიზღით აღიჭურვოს იმ მოაზრისადმი, რომლის მოძღვრებაშიაც ხედავს თავის საკუთარ შეხედულებათა საფუძველს?

მაგრამ თუ არაფერია გასაოცარი იმ პატივისცემაში, რომელსაც ჩერნიშევსკი გრძნობდა ჰეგელისადმი, მაშ ვის გაუკვირდება — გარდა ისევ უმეცარისა — ის პატივისცემა, რომლითაც ეპყრობა ჰეგელს «კაპიტალის» ავტორი? «კაპიტალის» ავტორის შეხედულებანი ხომ ფეიერბახის შეხედულებათა ბუნებრივი განვითარება იყო, ხოლო ფეიერბახი კი ჩერნიშევსკის მასწავლებელი იყო ფილოსოფიაში და მოწაფე ჰეგელისა. მარქსს ესმოდა, რომ (ჩერნიშევსკის სიტყვებით რომ ვთქვათ) ჰეგელის ფილოსოფიაში იმყოფებოდა ჩანასახი იმ თეორიისა, რომლის აგებასაც თვითონ ცდილობდა! რომ ის მხოლოთ ავითარებდა არსებითათ საყურადღებო მომენტებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა ჰეგელის ფილოსოფიაში, მაგრამ ეწინააღმდეგებოდენ სხვა შემეცნებებს, რომელთაც ჰეგელის ფილოსოფია სცნობდა მეტ ყურადღების ღირსათ და რომელნიც, მარქსის აზრით, კრიტიკას ვერ უძლებდენ.

უკაცრავათ, ცოტა წინ წავუსწარი. სანამ მარქსის ფილოსოფიურ შეხედულებათა ჰეგელის ფილოსოფიასთან დამოკიდებულებაზე დავიწყებდე ლაპარაკს, უნდა გადავწყვიტოთ როგორ მოვექცეთ ჩვენ, მე-XX საუკუნის განათლებული და მიუდგომელი მკითხველნი და მწერალნი, ჰეგელის ფილოსოფიას.

ზევით ვთქვი, რომ შეუძლებელია ფილოსოფიური კითხვები ამა თუ იმ ავტორიტეტებზე მითითებით გავარკვიოთ. ძალიან ცუდს ვიქდი, რომ ახლა ეს დამეწყებოდა, ე. ი. მას შემდეგ, რაც ჰეგელის სასარგებლოთ და ბ. მარველის წინააღმდეგ ფილოსოფიურ კითხვებში ისეთ ავტორიტეტულ მწერლებმა გამოილაშქრეს, როგორიც არიან ა. გერცენი და ნ. ჩერნიშევსკი. არა, რაც უნდა ძლიერი იყოს მათი ავტორიტეტობა, ჩვენ უნდა ჩვენი საკუთარი ჭკუით ვიცხოვროთ; ჩვენ უნდა ჩვენი საკუთარი ძალით და საკუთარ ცოდნათა შემწეობით გადავწყვიტოთ, როგორ მოვექცეთ ჰეგელის ფილოსოფიას, რომლიდანაც აღიზარდა შემდეგ მოძღვრება ნემეც ფეიერბახის და რუს მოწაფის ჩერნიშევსკის.

ამის გადასაწყვეტათ, სასარგებლო იქნება გამოვარკვიოთ ჩვენთვის, თუ რატომ ხედავდა ჩერნიშევსკი ჰეგელის ფილოსოფიაში თავის საკუთარ შეხედულებათა ჩანასახს, ანუ უკეთ, თავის მასწავლებლის ფეიერბახის შეხედულებათა ჩანასახს.

მთელი საქმე აქ იმ «სინამდვილესადმი მეტის-მეტ ყურადღებაშია», რომელიც, ჩერნიშევსკის აზრით, შეადგენს ჰეგელის უმთავრეს ღვაწლს ფილოსოფიაში, შედარებით მის წინამორბედებთან.

ისინი, ვისგანაც ბ. მარველმა გადაიღო ზიზღით ცქერა ჰეგელზე, ე. ი რუსეთის «ნაროდნიკები» და სუბიექტივისტები,—ნემეც იდეალისტის ფილოსოფიას ხატავენ ჩვეულებრივათ, როგორც ჭეშმარიტების ერთ რაღაც შეუწყვეტელს დამახინჯებას განყენებული მოსაზრების გულისათვის. ისე ბევრი იყვირეს მათ ამ დამახინჯებაზე, რომ ფილოსოფიურ აზროვნებათა ისტორიასთან გაუცნობელ მკითხველებმა ძალაუნებურათ დაუჯერეს. ამის გამო ზოგი შეიძლება გააკვირვოს ჩერნიშევსკის შენიშვნამ შესახებ ჰეგელის ყურადღების სინამდვილისადმი. მაგრამ ეს ასე არის.

Idem.

(შემდეგი იქნება)

---

*) ვისაც წაუკითხავს „ესტეტიკა“ ჰეგელისა და „ესტეტიკა“ ფიშერისა, მან უკვე იცის, თუ რამდენათ შეუძლებელია ჩამოაშორო მასში განმარტებული ესტეტიური თეორია ჰეგელის ფილოსოფიის ზოგად კანონებს (ტეზისებს). ბ. მარველს, ვიცი, არ წაუკითხავს დასახელებული თხზულებანი, მაგრამ თუ შრომას მიიღებს და ცოტათი მაინც გადახედავს, მაშინ აღარაფერი ექნება ჩემს წინააღმდეგ.

**) შევნიშნავ, სხვათა შორის, რომ რეაქციონერათაც კი არასოდეს არ თვლიდა ჩერნიშევსკი ჰეგელს. ის მას ეძახდა ზომიერ ლიბერალს.

---

## საზღვარ-გარეთ.

**ინგლისი.** ჩვენ უკვე გვქონდა მოხსენებული, რომ ინგლისის პარლამენტის ლიბერალთა პარტიაში განხეთქილება ჩამოვარდა. განხეთქილება გამოიწვია ტრანსვაალის დაუსრულებელმა ომმა. აქამდის ეს განხეთქილება მაგდენათ არ ჩანდა და არ უშლიდა ხელს ლიბერალთა პარტიის მთავრობის მო-

მხრე უნიონისტთა პარტიასთან ბრძოლაში; მაგრამ ამ უკანასკნელ დროს საქმე სულ სხვა ნაირათ შეიცვალა. ლიბერალთა პარტიის იმ პირებს, რომელთაც წინათვე გამოსთქვეს თვისი უკმაყოფილება ტრანსვაალის ომის შესახებ, ახლა უკვე დაკარგათ მოთმინება. დაუსრულებელი ომი, დიდძალი ხარჯი, ქვა-ნახშირზე ბაჟის აწევა, საერო სირცხვილი და შეურაცხყოფა ინგლისისა ბურების უსამართლოთ ტანჯვა-წამებაში, - აი ის მიზეზები, რომელთაც აიძულეს ლიბერალთა ერთი გუნდი აემაღლებინათ ხმა და დაეგმოთ მთავრობის პოლიტიკა. უკმაყოფილოთა მოთავე თვით პარტიის ლიდერი კემპბელ-ბანნერმანი გამოვიდა, რომელმაც თავის მოწინააღმდეგე ამხანაგთა თავზარ დამცემი სიტყვა წარმოსთქვა, და მით გააპო ლიბერალთა ბანაკი ორ მოურიგებელ პარტიათ. ამნაირათ, ინგლის-ტრანსვაალის ომმა გამოიწვია ომი თვით ინგლისის პარლამენტშიაც; მაგრამ არც ინგლისის საზოგადოებაა გახუმებული და იგი თამამათ აცხადებს მთავრობისადმი უკმაყოფილებას ომის შესახებ. ქვს ივნისს ლონდონის ცენტრალურ ზალაში მოხდა დიდი მიტინგი. ლონდონის ყოველ კუთხიდან თავი მოიყარეს როგორც მიტინგის მომხრეთ, ისე მის მოწინააღმდეგეთაც. ზალაში შესვლა ბილეთებით იყო. გაიღო თუ არა კარები, მიტინგის მოწინააღმდეგეთ ბაირაღებით ხელში რაზმდაწყობით მიიტანეს იერიში სამიტინგო დარბაზზე. ატყდა ცილინდრების სროლა, ჯოხების ტრიალი, შეიქნა ხელ-ჩართული ომი; დარბაზის კარებში ჩამდგარმა «ერილობათა თავისუფლების ლიგამ» უკუაქცია მოწინააღმდეგენი. კიდევ რამდენჯერმე გამეორდა ამნაირი თავ-დასხმა, მაგრამ ყოველთვის გამარჯვებულნი «თავისუფლების მომხრეთა ლიგა» გამოდიოდა. ამ დროს კი თვით დარბაზში ორატორები ერთიმეორეზე ჰგმობდენ ინგლისის პოლიტიკას ომის შესახებ. ბევრმა მათგანმა დაუსატა საზოგადოებას სამწუხარო სურათი განადგურებულ ტრანსვაალისა. ბოლოს საყოველთაოთ შეწყნარებულ იქმნა რეზოლიუცია, რომ ტრანსვაალს უნდა მიენიჭოს სრული თავისუფლება.

ასე და ამგვარათ თუმცა პარლამენტის ლიბერალთა პარტიაში განხეთქილება ჩამოვარდა ტრანსვაალის შესახებ, მაგრამ ინგლისის ახალგაზდათ დემოკრატიულ პარტიაში და ფილოსოფ-რადიკალთა შორის სრული თანხმობაა, რათა ინგლისმა შეწყვიტოს სამხრეთ-აფრიკაში უმოწყალო ომი და სრული თავისუფლება მიანიჭოს რესპუბლიკებს.

ზემოხსენებულ მიტინგში ნათლათ გამოიხატა ინგლისის ერის უაღრესი მოქალაქობრივი განვითარება. იმ დროს, როდესაც ინგლისის ჯარი ათიათასობით იწყვიტება ბურებისაგან, იმ დროს, როდესაც ეს პაწია ერი ჰბედავს და არ უცხადებს მორჩილებას ბუმბერაზ სახელმწიფოს, მართლაც მამულიშვილი დიდის სიყვარულით უნდა იყოს აღგზნებული სამართლისადმი, რომ გამოვიდეს და საქვეყნოთ აღიაროს თვისი სამშობლოს შეცდომა და მით უფრო გაიორკეცოს ის ზიზღი და განკიცხვა, რომელიც დღეს ყოველ მხრიდან ესმის ინგლისს. რაც შეეხება მთავრობას და პოლიციას, იგი სრული ნეიტრალი იყო ამ მიტინგზე, ის არ ესარჩლებოდა არც ერთს მხარეს. პირიქით პოლიცია ძლიერ თავ-დაჭერით მოქმედებდა და ათავისუფლებდა დარბაზს მოწინააღმდეგეთაგან.

არა, ვინც რა უნდა სთქვას, როგორიც უნდა იყოს ინგლისის მოპყრობა ტრანსვაალის შესახებ, ინგლისის ერი მაინც პატივსაცემია, მაინც მისაბაძია ყველასაგან.

**ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ.** მუშათა დაზღვევის პროექტის შესახებ ვაჭრობის მინისტრმა მილიერანმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პალატაზე. მართალია,—სთქვა მილიერანმა,—პროექტს ბევრი სუსტი მხარე აქვს, ბევრია კიდევ მასში შესაცვლელი, იგი ვერ აკმაყოფილებს სავსებით პროექტის უაღრეს დედა-აზრს, მაგრამ მე არა ვარ იმათი მომხრე, ვინც ამბობს: „ან სულ, ან არაფერიო“. მართალია რიმი, პლიმონი, ვალიანი და სხვებიც ბევრნი თხოულობენ, რომ დაზღვეულ იქმნენ არა მარტო მუშები, არამედ ყველა ფრანგი, რომელიც კი ცხოვრობს თავისი შრომით და რომელსაც ესაჭიროება დახმარება, მაგრამ ეს ჯერჯერობით შეუძლებელია, თუ მივიღებთ მხედველობაში სახელმწიფოს ახლანდელ ქონებითი მალ-ღონეს და იმ ათას დაბრკოლებას, რომელიც დღეს წინ გვეღობება პროექტის მაგ სახით განსახორციელებლათ. თუ მარტო მილიერანზე იყოს დამოკიდებული საქმე, იგი დიდის სიამოვნებით დააკმაყოფილებდა ვალიანის და მის მომხრეთა სურვილს პროექტის შესახებ, მაგრამ საქმე იმაშია, სთქვა ორატორმა, რომ ამისთანა ფართო სახით პროექტი ვერ ეღირსება დამტკიცებას და ცოტაც ხელიდან გამოგვეცლებაო. ამ სახითაც დამტკიცებულ პროექტს ის დიდ მნიშვნელობას აძლევს, რადგანაც ცხრა მილიონი მუშა უზრუნველყოფილი იქნება, მოხუცებაში და ან თუ რამე შემთხვევისაგან მას აღარ შეეძლება თვისი შრომით თავის რჩენა. შემდეგ მილიერანმა გაუთვალისწინა მსმენელთ, როგორ უნდა გაფართოვდეს თანდათანობით პროექტი მომავალში და როგორ უნდა მიაწიონ მათ აღნიშნულ მიზანს.

მილიერანს პასუხი მისცა ვალიანმა. მან განიხილა ზემოხსენებული პროექტი, შეადარა იგი გერმანიის მუშათა დაზღვევის პროექტს და მილიერანის მიერ მოწონებულ პროექტის შესახებ დიდი პროტესტი გამოაცხადა. ის სხვათა შორის თხოულობდა, რომ თვით მუშებს კი ნუ გადახდებათ მომავალი დასაზღვევი კასის შესადგენათ ფული, არამედ იგი უნდა გადაიხადონ მხოლოთ კაპიტალისტებმა და სახელმწიფომ. საზოგადოება მოვალეა იზრუნოს იმ ხალხისთვის, რომელიც თავისი შრომით ჰკვებავს მას. ისა თხოულობდა აგრეთვე, რომ დაზღვევა ყოფილიყო საყოველთაო და უფრო მეტის საშუალებით, ვიდრე აწინდელი პროექტი იძლევა. ბოლოს მან იმედი გამოთქვა, რომ პალატა გააფართოვებს, როგორც კი შესაძლებელი იქნება, პროექტს და მით დააკმაყოფილებს მუშათა დემოკრატიულ სურვილსო.

**ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲐᲖᲘᲐ** (კუნძულები წყნარ ოკეანეში). უეჭველია ბევრს ჩვენს მკითხველს არ გაეგონება ეს სახელი და ვისაც კი ოდესმე სკოლის სკამზე გეოგრაფიაში ამოუკითხავს, მასაც ისევე ექნება დავიწყებული. არც საკვირველია ეს. აქამდის ეს კუნძული მხოლოთ ინგლისის, რომლის კოლონიასაც შეადგენს იგი, ყურადღებას იპყრობდა, როგორც დამნაშავეთა გასაგზავნი ადგილი, მაგრამ დღეს ავსტრალაზიას თავისი კულტურული განვითარებით უჭირავს უპირველესი ადგილი არამც თუ კოლონიათა შორის, არამედ თვით ევროპის სახელმწიფოებთან შედარებითაც. სულ ორმოცი წელიწადია მას შემდეგ, რაც ეს შესანიშნავი კუნძული განთავისუფლდა წინანდელ თავის დანიშნულებიდან და დღეს იქ აღარ იგზავნებიან დამნაშავენი, როგორც «კატორღაში», მაგრამ ამ მოკლე დროის განმავლობაში მან თვისი სწრაფი განვითარებით ზოგიერთ შემთხვევებში თვით თავის მეტროპოლიას—ინგლისსაც კი გადააჭარბა. ავსტრალაზიას adარებენ ამერიკას და მართლაც მათი დასახლების და განვითარების ისტორია თითქმის ერთი და იგივეა. ავსტრალაზიას უჭირავს თითქმის იგივე სივრცე ადგილისა (2 მილიონი კვ. მილი), რაც ამერიკის შეერთებულ

შტატებს მე-XVIII ს. ბოლოს ეჭირა. მცხოვრებთა რიცხვი 4 მილიონია, ე. ი. თითქმის იმდენი, რამდენიც იყო ამერიკაში, როდესაც იგი რესპუბლიკათ იქმნა გამოცხადებული. მაგრამ ამერიკის სახელმწიფო შემოსავალი მაშინ არ აღემატებოდა 30 მილიონ მანეთს, ხოლო ავსტრალაზიას დღეს 280 მილიონი მანეთი აქვს შემოსავალი. უფრო თვალ-საჩინოა მისი შედარება ამ მხრივ თვით ინგლისთან. ავსტრალაზიის მცხოვრებთა რაოდენობა ინგლისთან შედარებით გამოიხატება $1/_{10}$-ით, ხოლო შემოსავალი მისი ინგლისის შემოსავლის $1/_{4}$-ს შეადგენს.

1840 წელს ინგლისი უპირველესი სახელმწიფო იყო დედამიწის ზურგზე თვისი აღებ-მიცემობით და მრეწველობით, მაგრამ მაშინდელი მისი შემოსავალი ავსტრალაზიის ეხლანდელ შემოსავალზე 27 მილიონ გირვ. სტერლინგით ნაკლებია. გერმანიაში წლიური საშუალო შემოსავალი 8 გირვ. სტერლინგია, კანადაში—10 გირ. სტ., კაპის ახალშენში—16 გ., ინგლისში—19 გირ. და 5 პენსი, ხოლო ავსტრალაზიაში 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვით 37 გირ. 19 შილლინგი და 11 პენსი. არგენტინაში მკვიდრთა საშუალო ქონებას შეადგენს 140 გირ. სტ., კანადაში—200 გირ., საფრანგეთში—300 გირ., ხოლო ავსტრალაზიაში 370 გირ. სტერ. გერმანიაში წლიური შემოსავალი უდრის 24 გირ. სტ. 7 შილ., საფრანგეთში—31 გირ. 2 შილ., ინგლისში—36 გირ., შეერთებულ შტატებში—42 გირ., ხოლო ავსტრალაზიაში 51 გირ. სტერ. და 2 შილ. უნდა გავიხსენოთ აგრეთვე, რომ ავსტრალაზია უმთავრესათ მისდევს მეურნეობას. როგორც ზემომოყვანილი ციფრებიდან დავინახეთ, სულ ცოტა ხანში ავსტრალაზიას თვისი ეკონომიური განვითარებით ევროპის ყველა სახელმწიფოსთვის გაუსწრია. რაც შეეხება ხალხის განათლებას, ამაშიაც წინა დგას იგი სხვებთან შედარებით. თუმცა პირველი წიგნი ავსტრალაზიაში 1825 წ. დაიბეჭდა, მაგრამ დღეს არ არის იქ არც ერთი იმისთანა პატარა ქალაქიც კი, რომ რამდენიმე ჟურნალი და გაზეთი არ გამოდიოდეს. მათ ჰყავთ გამოჩენილი რომანისტები, პოეტები და მეცნიერები. პირველი საზრუნავი რესპუბლიკისა ხალხის განათლებაა. იმ დროს, როდესაც ინგლისში 1000-ზე მხოლოთ 123 წერა-კითხვის მცოდნე მოდის, ავსტრალაზიაში კი 140 კაცი. განათლება ყველა სასწავლებელში საეროა. სამღრთო რჯულს მოწაფეები სწავლობენ, როგორც ზედმეტ გაკვეთილს. ყველა ადგილებში სწავლა საყოველთაო მოვალეობას შეადგენს. ბევრგან ასწავლიან უფასოთ.

**ჩინეთი**. როგორც უკანასკნელი დეპეშებიდან ჩანს, მეამბოხენი კვლავ თავს დაესხენ მისიონერებს, რამდენიმე ქრისტიანი და მისიონერი მოუკლავთ. ჩანს, ამისთანა წვრილმანი ამბოხებანი აღარ ახდენს წინანდელ შთაბეჭდილებას ჩინეთში მდგარ ევროპის სახელმწიფოთა კოალიციაზე. ისინი ეხლა მხოლოთ იმის ბჭობაში-ღა არიან, რა სახით გადაახდევინონ ჩინეთს თვისი დანახარჯი ჩინეთის აკლებაში. თუ „დიდმა მუშტმა» დაიცადა და კვლავ არ აავორიაქა ევროპის სახელმწიფონი, როგორც უკვე ჩანს, ჩინეთის საქმე მაინც ვერ დაიწმინდება. რუსეთის ელჩმა უკვე აღძრა მის მთავრობასთან მანჯურიაზე ლაპარაკი, ხოლო ევროპის სახელმწიფოები გაფაციცებით ადევნებენ თვალს ამ კითხვას. ადვილი შესაძლებელია ამ კითხვამ სხვა მრავალი თავ-სატეხი გადასაწყვეტი გამოიწვიოს სახელმწიფოთა შორის, რის ნიშნები უკვე ჩანს ამ ბოლო ხანებში.

უკანასკნელი დეპეშა გვაუწყებს, რომ ჩინეთის დედოფალს გადაუწყვეტია პეკინის მაგიერ სხვა ქალაქი ამოირჩიოს საცხოვრებლათ, რადგანაც ეშინია, რომ ევროპიელებმა არ დაატყვევონ ის პეკინში; ერთი სიტყვით, არც ჩინეთის მთავრობას დამშვიდებია ჯერ გული და ჩანს, მომავალი ჯერ ისევ ღრუბლებით არის მოცული ჩინეთისათვის.

**ინგლის-ტრანსვაალის ომი**. ბურები კვლავ კაპის ახალშენში შეიჭრენ და ბევრი ადგილები ისევ ხელში ჩაიგდეს. აქ მათ შეიმატეს საჭირო სურსათი, მრავალი ცხენი და ახალი ჯარი. მათი რიცხვი მთლათ კაპის ახალშენში ათიათასამდეა. იმ დროს როდესაც ინგლისის მიერ დანიშნული გუბერნატორი ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა და მუქარმეტყველურ სიტყვებს ამბობდა, ბურები ერთი მეორეზე იბრუნებდენ წართმეულ დაბა-ქალაქებს და მაგრდებოდენ შიგ. მაგრამ ყველაზე კაი პასუხი ზემოხსენებულ გუბერნატორის მუქარმეტყველებაზე ბურების მხრივ მათი მაიორის მიერ ქალაქ დუემსტოუნის აღება იყო, და მერე მაშინ, როცა ამ ქალაქის სიახლოვეს 8,000 ინგლისელი იდგა ბანაკათ! ომის გაგრძელებამ თვით კაპის ახალშენის მცხოვრებნიც, რომელნიც აქამდე ორჭოფობდენ, გამოიყვანა მოთმინებიდან და აამხედრა ინგლისელების წინააღმდეგ. ამბობენ, ახალშენებს სამხრეთ-აფრიკის მხრიდან გერმანიის საზღვრიდან მოუვიდათ დახმარება იარაღით და ვოლონტიორებითო. თუ ეს ხმა მართალი გამოდგა და ინგლისმა გერმანიის ნეიტრალობაზე ხმა ამოიღო, იმედია, მას მოაგონებენ ჰოლანდიის საქციელს, რომელმაც აგრეთვე დაარღვია ნეიტრალიტეტი ომის დაწყების დროს ბურების საზარალოთ და ინგლისელების სასარგებლოთ.

---

# ორი ცხედარი

ოთხი ლერი თხელი, გაუთლელი ფიცარი, ურშნოთ, საჩქაროზე ერთათ შეკრული, გვერდებზე პირ-ღია—ასეთი იყო ჩემგან ნახული კუბო. როგორც ჩანდა დიდათ არ ცდილიყო ოსტატი თავისი ხელოვნება გამოეჩინა; ან რისთვის? ვინ დაუფასებდა? კუბოს პატრონი არც ისე დიდი მოთხოვნილების კაცი იყო; როდი იყო მიჩვეული მდიდრულ სახლ-კარს, ბრწყინვალე მორთულობას; და ეს უკანასკნელი ბინაც მის გემოვნებას შეეფერებოდა, დასკვნა იყო მთელი მისი სადა ცხოვრების. კუბოს ღია გვერდიდან ჭუჭყიან ფარაჯას თავი გადმოეყო, გადმოკიდებულიყო. საცოდავი ფარაჯა! მძიმე იყო მისი ხვედრი — დღიდან გაჩენისა სხვისი სამსახური სიცივეში თუ სიცხეში, დარში თუ ავდარში; ის იყო ლეიბიც და საბანიც და მასვე ერგო სუდარობაც. მაგრამ, განა უკეთესი იყო ხვედრი მისი პატრონისა? ისიც ხომ იგივე ფარაჯა იყო სხვისთვის! მხოლოთ ერთი განსხვავებით: ფარაჯას პატრონი უფრთხილდებოდა, მასზე კი არავის, არასოდეს მზრუნველობა არ გამოუჩენია; პირიქით, ყველა ცდილობდა რაც შეიძლება მალე გაეცვითათ ის, ერთბაშათ დაეხარჯვინებიათ მთელი ძალა და ენერგია; მუდამ წურბელასავით ეხვიენ ტანზე და ხარბათ სისხლს წუწნიდენ. მაგრამ წურბელამ გაძღომა იცის, ის მანამ მოგეკიდება ტანზე და სისხლს სრუტავს, სანამ კუჭი აევსებოდეს, და როცა ეს მოხთება, ის თითონ მოგვარდება ტანიდამ; სხვა თვისებისაა წურბელა-ადამიანი—ის რაც მეტსა ჭამს, იმდენი უფრო შივდება და რაკი ერთხელ მოგეკიდება ტანზე, აუცილებლათ მის ნესტიან ტანის ქვეშ უნდა დაიცალო სისხლიდან, დალიო სული. ასეთია ხვედრი ასი

და ათასის; არა ერთი და ორი ხდება მსხვერპლი წურბელა-ადამიანისა; ერთი ამ მსხვერპლთაგანი იყო ეს ცხედარიც.

კუბო, ჩვეულებრივ, ოთხ კაცს მიჰქონდა. ორღობეში ტალახი იდგა. მღვდელი ჯვრით ხელში ბილიკ-ბილიკ მიიჩქაროდა. მეკუბოვენიც ფეხ-აჩქარებით მისდევდენ. კუბო ზანტათ ქანაობდა. ცოტა მოშორებით ცხედარს ვიღაც მოხუცი ქალი მოყვებოდა. ტანს რაღაც შავი კონკები უფარავდა, თოვლივით თეთრი თმა ჩამოეშალა და მის სანთელივით გაყვითლებულ სახეს უფრო მკრთალ ელფერს სდებდა. გზას არ არჩევდა მოხუცი, ის შუა ქუჩაში მოატლაპუნებდა და შავათ მორღვეულ მიმქრალ თვალებს კუბოს არ აშორებდა. დედას ცრემლი გაშრობოდა, ენა დაბმოდა. მისი მწუხარება მეტათ ღრმა იყო—ცრემლი ვერ გაალხობდა, ენა ვერ გამოსთქვამდა მას. სასოწარკვეთილება, რაღაც პირუტყული გულ-გრილობა, სასტიკი შურის ძიება ერთი მეორეს ცვლიდა მოხუცის სახეზე.

ის იყო პროცესია დიდ ქუჩაზე უნდა გასულიყო, რომ მას პოლიციელმა გაჩერება ანიშნა. კუბო ძირს დაასვენეს. მოხუცმა დედამ ისარგებლა ამ დროით: ცხედარს დაეწია, თავ-ქვეშ ჩაუჯდა, მთრთოლვარე ხელები კუბოს მოხვია და ზედ დაეკონა, გაშეშდა.

ქუჩის ორივე კიდე სავსე იყო ხალხით, საგლოვიაროთ მორთულ ეტლში ესვენა მდიდრულათ მორთული ლითონის კუბო, რომელსაც გვერდით მუსიკის დამკვრელთა და მგალობელთა გუნდი მოსდევდა; აქვე იყვენ სხვადა-სხვა დაწესებულებათა და ქალაქთა დეპუტატები. პროცესია გვირგვინებით დატვირთულ ბალდახინით თავდებოდა. მთელი ქუჩა გაჭედილი იყო ხალხით, ეტლების მოძრაობა შეჩერებული იყო. აქ არავინ ჩქარობდა, თითქოს განგებ იგვიანებენ კიდეც. პროცესია ნელა, ტალღასავით იძროდა. რჩეული საზოგადოება, კუბოს მორთულობის სიმდიდრე, ურიცხვი ძვირფასი გვირგვინები—ყველა ეს ცხადათ ამტკიცებდა, რომ მიცვალებული ბრწყინვალე გვამს ეკუთვნოდა. მართალია ის შთამომავლობით არ იყო ბრწყინვალე, პირიქით, ამბობდენ მამა მისი უბრალო მეჯღანე იყოო; არც სამსახურში დამსახურებით მოუხვეჭია ეს დიდება; სამაგიეროთ სიკვდილის წინ მან უხვი შეწირულება დაუტოვა ქალაქს და სხვადა-სხვა დაწესებულებებს, ქვრივ-ოხრებს და ღარიბ ხალხს, რამაც უცებ ასეთი დიდება და პატივი მოუპოვა მას საზოგადოებაში. მართალია მის სიმდიდრესთან შედარებით ყველა ეს შეწირულება წვეთი იყო ზღვაში, მაგრამ ვის რა დავა აქვს სხვის საკუთრებასთან?! მართალია ისიც, რომ მთელი მისი დიდება მშრომელ ხალხის კისერზე აშენდა, მისი მილიონების წყარო იმავე ხალხის მარჯვენა იყო, მაგრამ იმავე ხალხს კვებდა ის—სამუშაოს აძლევდა, სიკეთისთვის სიკეთეს უშვრებოდა; მართალია ისიც, რომ ის იმ წურბელა-ადამიანთა ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელთა გაუმაძღრობისაგან არა ერთსა და ორს ხდება სული, მაგრამ რათ ისმენ ხოლმე წურბელს ტანზე?! ვინ აიძულებთ? ადამიანი თავისუფალია შრომის ამორჩევაში. «როცა კაცი მდინარეში ძალით თავს იხრჩობს, განა ამაში მდინარეა დამნაშავე?!—ხშირათ იტყოდა ხოლმე ეს პატიოსანი გვამი.

«სასიქადულო მამულიშვილს»—ეწერა ერთ დიდ ძვირფას გვირგვინზე. «ხალხის გულ-შემატკივარს»—წაიკითხავდით მეორეზე. გვირგვინთა უმრავლესობა ამგვარ საგულისხმო წარწერიანი იყო. უხვი შეწირულებით მოჯადოებულ საზოგადოებას ღირსეულათ დაეფასებია თავისი წევრი. პროცესია დაუპირდაპირდა ღარიბ კუბოს, გვერდი აუარა მას; მეკუბოეებმა ასწიეს უკანასკნელი და დაედევნენ პირველს. ორივე ცხედარი ერთ სასაფლაოზე დაკრძალეს; ერთი იქვე ეკლესიის ახლო, მაღლობ და მშრალ ადგილზე, მეორე მოშორებით, დაბლობში. ერთს იმათგანს მდიდრული ძეგლი დაადგეს.

გავლენ დრონი, ღარიბი ცხედრის ბინა დაბლა დაიწევს, მიწასთან გასწორდება, გავერანდება; კვლავ დასჭირდებათ საფლავი, მესაფლავე ბარით ხელში მიადგება ჩვენ ნაცნობ საფლავს და ბარის ტარს დააწვება, შიგ გაატარებს. თუ მიწამ სუსტი წინაამდეგობა გაუწია, ჩანს საფლავია—ასეთია იმათი ნიშანი. «დაჭერილი ყოფილა», - იტყვის ის გულ-გრილათ და ახლა სხვა საფლავზე მოახდენს იმავე დოსტაქრობას.

ნატო.

---

## ქუთაისის ცხოვრებიდან.

მგონი, არსად ჩვენში ისეთი მყვირალა და ბაქია ქალაქი არ მოიძებნება, როგორიც არის ეს ჩვენი ქუთაისი. თუ მას დაუჯერეთ, ის ყველაფერს აკეთებს, ყოველნაირ პლანებს გიწყობთ წინ, ყველაფერს ეპოტინება და ასრულებს თუ არა, მაინც საქვეყნოთ უვირის ამაზე. დღეს ქუთაისი ხსნის სამეურნეო საგნების კურსებს და ჰსურს ხალხს (კარგათ დაიმასსოვნეთ, «ხალხს») რაციონალური მეურნეობა შეასწავლოს; სახალხო წარმოდგენებს მართავს და «სიკოიას დენშჩიკის» და «გაურის» შემწეობით მის ესტეტიურ გემოვნებას ავითარებს, მაღალ გრძნობებს უღვიძებს გულში. ამარცხებს ლოლუა-ჩიკვაიძეს და არ ჯერდება რა უბრალო მომაკვდავებს, პროფესორს იწვევს მეთაურათ: აქაო და შენ ქიმია თუ კარგათ იცი, ტაქსის და სხვა ამაების შედგენაც გეცოდინებაო. ერთი სიტყვით, ცხოვრება ქუთაისში დუღს და გადადის და ეს ხდება აქაური ინტელიგენტების წყალობით... ისინი რომ არ იყვნენ, აქნამდი ყვავი და ყორანი წაგვიღებდა... მოდი და ნუ მოუხრი ამ ინტელიგენციას ქედს, მოდი და იმას ავტორიტეტათ ნუ დასახავ... მაშ ერთი თვალის გადავლებით გავშინჯოთ, თუ რა პლანები აქვს ამ ინტელიგენციას და ან რა გააკეთა.

ავიღოთ სამეურნეო კურსები, მით უფრო, რომ ამ კურსებით ყური გამოგვიჭედეს «ივერიაში» ბ-ნმა Amicus-მა და «ახალ მიმოხილვაში» Ом-მა, ამ ქუთათური «პროგრესიული დასის» (!) პანეგირისტმა. გასული წლის დამლევს შეიკრიბენ ქუთაისის «პროგრესისტები» აქაურ სამეურნეო საზოგადოების დარბაზში და დაიწყეს «რეჩები»: «ხალხი იღუპება, ხალხი შიმშილით კვდება, მივეშველოთ ხალხსო!»—«მივეშველოთ, მივეშველოთო»!—დაუკრეს კვერი სხვებმა და გადაწყვიტეს გაეხსნათ სამეურნეო კურსები, სადაც სპეციალისტებს მესიმინდეობაზე (ბ-ნი ტიმოფეევი), მეაბრეშუმეობაზე, მექათმეობაზე (ბ-ნი კურნალი), მევენახეობაზე (ბ-ნი სტაროსელსკი) და მებოსტნეობაზე (ბ-ნი ცერცვაძე) უნდა ეკითხათ ლექციები. ეს გადაწყვიტეს და ის იყო უნდა დაშლილიყვნენ, რომ ერთმა იკითხა: «რომელ ენაზე უნდა იყოს ლექციებიო!»

ტიმოფეევი და სტაროსელსკი რუსებია და ქართული არ იციან, სოლო ბ-ნ კურნალმა ხომ არ იცის და არა, თუმცა

ისე უყვარს ქართველები და ისე სულით და გულით არის მოწადინებული ამ ხალხში მეურნეობა გაავრცელოს, რომ ამ მიზნის მისაღწევათ 1898 წ-ში სამინისტროს ქართული ენის თარჯიმანი სთხოვა. ალბათ ეს ყველა გაახსენდა «პროგრესიულ პარტიას» და სწორეთ ამიტომ იყო, რომ ზალაში ერთ ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. პროგრესისტები დაფიქრდენ, იფიქრეს, იფიქრეს და მოიფიქრეს შემდეგი: ვინც რუსული იცის, იმან ისმინოს ლექციებიო, და კიდეც დაიწყეს ლექციები რუსულ ენაზე. დაიწყეს იანვარში და გაათავეს მარტში. ლექციებს ესწრებოდენ საქალებო გიმნაზიის და ეპარქიალურ სასწავლებლის უკანასკნელი კლასის მოწაფეები და ჩინოვნიკობა. მაგრამ ერთი ვიკითხოთ: ნუ თუ ხალხს რამე შეხვდა ამ ლექციებიდან, ნუ თუ მეცხრე კლასის ქალებს რომ «კოხინხინის» ქათმებზე უკითხო, ამით ხალხს ხვდება რამ, ან რა დამოკიდებულება აქვს ჩინოვნიკობას მესიმინდეობასა და მექათმეობასთან? არა, ეს მამაცხონებულები ვის იღებენ სამასხაროთ, ვის უნდათ ამით აუხვიონ თვალი? მაგრამ ხუმრობაც არის და ხუმრობაც! ხუმრობა ქუთაისის საბჭომაც მშვენივრათ იცის, ხოლო ეს ხუმრობა უფრო აატირებს ადამიანს, ვიდრე გააცინებს. როგორც ვიცით, ქუთაისის საბჭოს უმრავლესობას ეგრეთ წოდებული «პროგრესიული პარტიის» წევრები შეადგენენ და ამ პარტიას თავისი წარმომადგენელიც ჰყავს «ცნობის ფურცელში». ეს გახლავთ ბ-ნი დ. მ.. ახლა მოისმინეთ რას სწერს ბ-ნი დ. მ. «ცნობის ფურცლის» № 1336-ში: «ინსტრუქციის ძალით საბჭომ დაავალა თავის მოხელეთ ღამღამობით მორიგეობა», ესე იგი საბჭოს გადაუწყვეტია მწერალმა მთელი დღე სწეროს და ღამე კიდევ იდარაჯოსო. ამაზე მოხელეებს უარი განუცხადებიათ: «სად შეგვიძლია ამდენი ჯაფის ატანა, ჩვენ ისეც ვიღალებითო!» და აი ამათზე ბ-ნი დ. მ. ამბობს: «წეს-რიგის უარ-მყოფელ და არამოყვარე მოხელეთ, რასაკვირველია, ეს არ მოეწონათ და ითხოვეს ღამ-ღამობით (დარაჯობისაგან) განთავისუფლება... მაგრამ ეს საბჭომ არ შეიწყნარა» (და კარგათაც მოქცეულა ხომ საბჭო, ბ-ნო დ. მ.?) და აი ბატონებო: თხოვნა, რომ ოცდაოთხ საათს ნუ გვამუშავებთო, წეს-რიგის უარის ყოფა ყოფილა, დღიან-ღამიანა მუშაობა კი წესიერება, ე. ი. პირველი პროგრესის წინააღმდეგი, მეორე კი პროგრესი. და ამას ამბობს «პროგრესიული პარტიის» წევრი, ამას ბეჭდავს პროგრესის მომხრე გაზეთი. წინააღმდეგი ხმაც არ ისმის. და ამას შემდეგ მოდით და ერწმუნეთ ბ-ნ Ом-ს, დ. მ.-ს და სხვებს, რომლებსაც ცამდე აჰყავთ ქუთაისის ინტელიგენტები.

მთელი ქვეყნის პროგრესისტები იმას ცდილობენ, რომ სამუშაო დღე შეამოკლონ და ქირა გაადიდონ, ხოლო ქუთაისის პროგრესისტები კი სამუშაო დღეს აგრძელებენ და ქირას კი ისევ ძველს ტოვებენ... და მოდი და ნუ სცემ თაყვანს ამ «პროგრესისტებს», მკითხველო! ამ ნაირია ქუთაისის საბჭოს ხუმრობა, მაგრამ ხუმრობა ხომ ქუთაისის საზოგადოების საკუთრებაა. მოცილე მხოლოთ ერთათ ერთი Ом-ია.

ბ-ნი Ом-ი რომ ხუმრობს, ეს ყველამ იცის, ვინც «ახ. მიმოხ.» კითხულობს, მაგრამ ბ-ნი აწყურელის ხუმრობა კი მარტო ქუთაისლებმა ვიცით და ისიც იმათ, ვინც თეატრში დავდივართ. ბ-ნ აწყურელს თეატრის საზოგადოება კაფე-შანტანის წევრები ჰგონებია და აი დგამს სცენაზე მის მიერ დაწერილს ვოდევილს: „ის კი მამიდაშვილია?" არ ვიცით, თავის საკუთარი გენიოსობის ნაყოფია ეს ვოდევილი, თუ სადმე გადმოუქართულებია ეს მკირფასი მარგალიტები, ხოლო ამ ნაირი პიესების დადგმა რომ გამრყვნელია ხალხის გემოსი, ეს ცხადზე უცხადესია. დიდათ საწყენია ასე მასხარათ აღება საზოგადოებისა და იმედია აწი მაინც აღარ გაგვაბედნიერებს ბ-ნი აწყურელი ამ პიესის ცქერით.

ლეო.

---

## მეცნიერება და მეცნიერები.

(დასასრული.—იხ. № 24).

ბ. Vallée-Poussin, რომელიც დიდი მომხრეა წვრილ მეურნეთა, ამტკიცებს შემდეგს: „გლეხის საკუთრების განვითარება ნაკლებია იმდენათ, რამდენათ მიწის ფასი მატულობს"[1]. ის უძახის ამას საერთო „კანონს" და ამტკიცებს, რომ სადაც მიწა ძვირათ ღირს, იქ გლეხ-მესაკუთრე იშვიათია და რამდენათ სადმე მიწის ფასი მატულობს, იმდენათ მესაკუთრე გლეხთა რიცხვი კლებულობს და მოიჯარადრეთა რიცხვი მატულობს; მეორე მხრით, რამდენათ სადმე მიწა უფრო იაფია, იმდენათ მესაკუთრე-მეურნე გლეხთა რიცხვი მეტია.

ბ. ვალლე-პუსსენი იღებს სხვა-და-სხვა ფასის მიწებს, სადაც მიწის პატრონი თვითონ მეურნეობს და მიწას სხვას არ აქირავებს; ის ჰყოფს ამ მიწებს ფასის მიხედვით ექვს კატეგორიათ და ირკვევს, რამდენია თითოეულ კატეგორიაში მესაკუთრე მეურნე გლეხი. ჩვენ გავყოფთ რვა კატეგორიათ, რომ უფრო ნათლათ დავინახოთ ზემოხსენებული კანონის ჭეშმარიტება.

| კატეგორიები: | | | | | | გლეხის საკუთ.: |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კატ. ჰექტ., ღირებ. | | | 900 | ფრ-დე | 94% |
| 2 | — | — | — | 1300 | -- | 86% |
| 3 | — | — | — | 2000 | — | 63% |
| 4 | — | — | — 2000 | 3000 | — | 44% |
| 5 | — | — | — 3000 | —4000 | -- | 21% |
| 6 | — | — | — 4000 | —5000 | -- | 21% |
| 7 | — | — | — 5000 | —6000 | — | 28% |
| 8 | — | — | — 6000 | ფრ. მეტი | | 35%[2]. |

ეს რუქა გამოხატავს როგორც საერთოთ მთელს ბელგიაში, ისე თითოეულ მის ნაწილში გლეხის საკუთრების და მიწის ფასის შორის დამოკიდებულებას. რამდენათ მიწის ფასი მატულობს, იმდენათ გლეხი ჰკარგავს თავის საკუთრებას! მაგრამ აი მეექვსე კატეგორია; მიწამ მოიმატა ფასი, მესაკუთრე გლეხთა რიცხვი კი არ შემცირდა... მეშვიდე კატეგორია... ფასმა იმატა - მესაკუთრე გლეხთა რიცხვმაც იმატა... მერვე კატეგორია—მესაკუთრე გლეხთა რიცხვი უფრო გაიზარდა!.. რას ნიშნავს ეს?

სადაც მიწა ერთობ ძვირათ ღირს, იქ გლეხობას ეკარგება ნიადაგი. გაიყვანეს მშვენიერი გზები, მატარებელი, გაჩაღდა ინტენსიური კულტურა, შევიდა ხმარებაში მაშინა, იმატა „ძირის თანხამ" (ОСНОВНОЙ КАПИТАЛЪ), ამას მოჰყვა მიწის ფასის აწევა; ცხადია, რომ ამგვარ პირობებში გლეხის მეურნეობას ესპობა ნიადაგი. მართლაც გლეხ-მეურნე თანდათან ჰქრება, რადგანაც მის ირგვლივ ინტენსიური კულტურა ანუ კაპიტალისტური წარმოება იბადება და ამას გვიჩვენებს ზემოთ მოყვანილი რუქა მაშასადამე, ápriori შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეშვიდე და მერვე კატეგორიის მიწა, როგორც უძვირფასესი, იზიდავს კაპიტალისტებს და

---

[1]) La propriété paysanne en Belgique. გვ. 99 (Revue Sociale catholique, № 4. I-er Février 1898).

[2]) Ib. გვ. 101.

მისი მოხმარება თხოულობს კაპიტალს, რაც გლეხს არ აბადია. მაშ რას ნიშნავს მეშვიდე და მერვე კატეგორიის მიწაზე მესაკუთრეთა რიცხვის ცოტათი გამრავლება? რაა მიზეზი? აი საქმე რაშია:

თვით ბ. ვალლე-პუსსენი, დიდი მომხრე წვრილ მეურნეთა, ამბობს: «სოფლის მეურნეობის აღწერა რომ შეიძლებოდეს მარტო ნამდვილი გლეხების მეურნეობის, ესე იგი ისეთი ადამიანების, რომელთათვის მიწის დამუშავება ერთათ ერთს თუ არა, უმთავრეს საქმეს მაინც შეადგენს, მაშინ გლეხების საკუთრების განვითარების მაჩვენებელი ხაზი გაცილებით უფრო ცხად-ყოფდა ჩვენთვის იმ კანონს, რომელსაც ექვემდებარება სოფლის მეურნეობის განვითარება. 1880 წლის და წინანდელ აღწერაშიაც სოფლის მეურნეობის სახელით აღნიშნული იყო არა მარტო სათესი და სათიბი ადგილები და ბაღები, არამედ სულ ყველა ის მცირედი ნაკვეთებიც, მიუხედავათ მათი სივრცის სიმცირისა, რომელნიც არიან სახლებთან და სადაც აშენებენ სხვა-და-სხვა მცენარეებს, გარდა სიამოვნებისათვის ნათესი ყვავილებისა. მეურნეობის აღწერაში შევიდა ურიცხვი მეტათ მცირედი მეურნეობა, რომელსაც მისდევენ არა მარტო გლეხები, არამედ სხვა-და-სხვა ქარხნების და მთა-მადნის მუშები, აგრეთვე ხანდახან წვრილმანი ბურჟუაც, რომელიც უმეტესათ ცხოვრების წყაროს ჰპოვებს სამრეწველო შრომაში, მხოლოთ დასვენების დროს კი იმუშავებს პატარა ნაკვეთს, სადაც სთესს მწვანილეულობას ან კარტოფილს, რაც მის შემოსავალს ცოტაოდნათ აძლიერებს. ზემოდასახელებულ შემთხვევით მეურნეობათა რიცხვი მეტათ მრავალია დიდი ქალაქების არემარეში და ქვანახშირის მადნების მიდამოებში. ამით აიხსნება ის ახირებული მოვლენა, რომ აღწერით ბელგიაში ნაჩვენებია სოფლის მეურნეობათა ფანტასტიური რიცხვი—910,396. რომ საკმარისათ დაფასდეს ამ ციფრების მნიშვნელობა, საჭიროა შევნიშნოთ, რომ იმაში შედის 472.471 ისეთი მეურნეობა, რომელიც შეიცავს 50 არზე (ერთი არია 22 ოთხკუთხი საჟენი) ნაკლებ სივრცეს“ [3]).

სამწუხაროთ, ბ. ვალლე-პუსსენს ხელთ არ ჰქონია 1895 წ. და შემდეგ მომხდარი აღწერილობანი, თორემ ცხადათ დაინახავდა, რომ 1880 წლიდან დაწყებული ამ პარცელიალურ მესაკუთრეთა და მეურნეთა (რომელთაც ერთი ქცევაც არ მოეძევათ) რიცხვმაც არამც თუ შედარებით იკლო, არამედ იკლო აბსოლიუტურათაც. ამაზე შემდეგ გვექნება ლაპარაკი, აქ კი მოვიყვანთ ბ. ვალლე-პუსსენის ორ საყურადღებო აზრს. პირველი: როდესაც მიწის ფასი ერთობ მატულობს, მაშინ, ცხადია, მეურნეს ხელიდან მიწა გადადის სხვების ხელში, რადგან ერთობ ძვირფასი მიწა მისი დამუშავებით ვერ მოიტანს იმდენ სარგებელს, რამდენსაც თხოულობს მისი ღირებულება. სადმე დაბაში ან ქალაქში, სადაც მიწა ღირს ერთობ ძვირათ, რასაკვირველია, იქ მიწას არ ხნავენ; როდესაც რომელიმე კუთხეში იმართება მრეწველობა, შენდება ქარხნები, სახნავ-სათესი, სავენახე, მიწა იცვლის პირს, „ქუცმაცდება“... ცალკ-ცალკე გასაქირავებელ სახლების ასაშენებლათ, ახლო-ახლო ქუჩების გასაყვანათ; იყიდება ნაწილ-ნაწილათ... ქუცმაცდება, მერე... მერე ხომ იცით ქალაქის მამული როგორ გროვდება რამდენიმე ბედნიერთა ხელში. ხომ იცით, როგორ ხდება ეგ მოვლენა თფილისში, ქუთაისში და სხვაგან: ძველი უფულო თავად-აზნაურობის მიწები იყიდება ნაწილ-ნაწილათ, რადგან ნაჭრების მყიდველის პოვნა უფრო ადვილია; შემდეგ, როცა დიდი გაჭირვებით და ვალით ამ პატარა ნაჭრებზე აშენდა სახლი, როდესაც სახლის პატრონს ვალის და სხვა ბევარათა გადახდა გაუჭირდა, ჩნდება კაპიტალისტი, ყიდულობს ვალში დარჩენილ მამულებს, უვარგის შენობებს ანგრევს და აჩაღებს რამოდენიმე სართულიან შენობებს... ამ კითხვებზე ოდესმე გვექნება უფრო ვრცელი ბაასი ან „კვალში“, ან ცალკე წიგნში. აქ მოვიყვანთ ბ. ვალლე-პუსსენის შემდეგ სიტყვებს, რომელიც შვენივრათ გვიჩვენებს, თუ რა მიზეზის გამო ვრცელდება პარცელიალური საკუთრება ქალაქების ახლოს და ამტკიცებს, რომ ეს მოვლენა შედეგია როგორც მამულის მემკვიდრეთა შორის გაყოფისა, აგრეთვე ჩვეულებრივი დაქუცმაცებისა იმ საკუთრებათა, რომელნიც დიდ ქალაქების და სამრეწველო ცენტრების ახლოს მდებარეობენ.

ეხლა მკითხველმა იცის, თუ რაში მდგომარეობდა „წვრილ მეურნე გლეხთა რიცხვის განუწყვეტლივი გამრავლება“. ეგ გამრავლება მეურნეთა გამრავლებას როდი ნიშნავს, როგორც ზემოთ დავინახეთ, არამედ ლატაკთა და ფიქტიურ (ბანკები) მესაკუთრეთა გამრავლებას. თუ 1880 წლამდე იმატა მესაკუთრეთა რიცხვმა აბსოლიუტურათ, ეს იმიტომ, რომ საოცრათ გამრავლდა ისეთი მესაკუთრეები, რომელნიც ასე შვენივრათ აგვიწერა ბ. ვალლე-პუსსენმა, ისეთი „მესაკუთრე-მეურნენი“, რომელნიც ცხოვრობენ დღიური მუშაობით ქარხნებში და სხვაგან და რომელთა რიცხვი წარმოადგენდა 1880 წელს ნახევარზე მეტს მეურნეთა რიცხვისას ბელგიაში. 1880 წ. ბელგიაში იყო 910.396 სამეურნეო საკუთრება, ხოლო ამ რიცხვში ერია 472.471 ნაკლები 50 არისა და ეკუთვნოდა ისეთ გლეხებს, რომელნიც მუშაობდენ ქარხნებში, როგორც ეს აგვიწერა ვალლე-პუსსენმა და ვანდერველდმა [4]).

ბელგიაში განსაკუთრებით მუშებისთვის არის მატარებლები, რომლებითაც მუშები დილით მიდიან ქარხნებში და საღამოს იმავ მატარებლებით ბრუნდებიან შინ. ეს მგზავრობა მათ შედარებით იაფათ უჯდებათ. თან სოფელში უმეტეს მათგანს აქვს საკუთარი თავ-შესაფარი და რამდენიმე საჟენი მიწა, რომელზედაც ქალები, ბავშვები და კვირაობით თვით მუშები სთესენ მწვანეულობას, ინახავენ ერთ-ორ ღორს და ამნაირათ ებრძვიან შიმშილს. ადვილი წარმოსადგენია, რა ძნელი და უიმედოა მათი მდგომარეობა. ადამიანი, რომელიც დღე და ღამეში შინ რჩება 6-7 საათი, შრომით და მგზავრობით დაქანცულს ეს დრო მოსასვენებლათ არ ეყოფა. ასეთი შრომა მათ სიცოცხლეს მალე უსპობს. ცოლ-შვილში ისინი არ ცხოვრობენ, მათ არ შეუძლიათ ერთი საათი მოსვენებით გაატარონ ცოლ-შვილთან, მათ არა აქვთ დრო ადამიანურათ დაუკვირდენ თავიანთ მდგომარეობას, გონება ასაზრდოონ... მათზე ბევრათ უკეთეს მდგომარეობაშია ქალაქში მცხოვრები მუშები, რომელნიც ყოველ დღე მგზავრობაში არ ჰკარგავენ რამდენიმე საათს. მათ მეტი დრო რჩებათ მოსასვენებლათ, გონების განსავითარებლათ.

ეხლა დავუბრუნდეთ კითხვას: მრავლდება თუ არა ბელგიაში მესაკუთრე-მეურნეთა რიცხვი და აგრეთვე რო-

[3]) Ib. გვ. 105—106 და 1-er avril 1898, № 6, გვ. 166.

[4]) Les villes tentaculaires. უკვე გადმოითარგმნა რუსულათ.

გორ იცვლება რიცხვი დამოუკიდებელ და დამოკიდებულ მეურნეთა.

დენისის გამოანგარიშებით, საერთოთ მიწის მესაკუთრეთა რიცხვი იყო [5]):

| | |
|---|---|
| 1880 წ. . . . . . | 918.700 |
| 1890 წ. . . . . | 913.240 |

სოფლის მიწის მესაკუთრეთა რიცხვი, მისივე გამოანგარიშებით, იყო:

| | |
|---|---|
| 1880 წ. . . . . | 768.033 |
| 1890 წ. . . . . | 745.203 |

ორივე შემთხვევაში ნათლათ ვხედავთ მესაკუთრეთა რიცხვის შემცირებას.

აგრეთვე მცირდება რიცხვი დამოუკიდებელ მესაკუთრე-მეურნეთა, მრავლდება რიცხვი მოიჯარე მეურნეთა და მცირდება საერთო რიცხვი ყოველგვარ მეურნეთა [6]).

| | რიცხვი დამოუკიდებელ მეურნეობათა | რიცხვი იჯარით აღებულ მეურნეობათა |
|---|---|---|
| 1866 წ. . . | 320.971 . . . | 423.036 |
| 1880 წ. . . | 293.524 . . . | 616.872 |
| 1895 წ. . . | 231.319 . . . | 598.306 |

მეურნეობათა საერთო რიცხვი:

| | |
|---|---|
| 1880 წ. . . . . | 910.396 |
| 1895 წ. . . . . | 829.625 |

მე მგონია ჩემ მიერ მოყვანილი ფაქტები საკმარისია ამ შემთხვევაში დასამტკიცებლათ იმისა, რომ მამულები და წარმოება ბელგიაში ვარდება თანდათან რიცხვით უფრო მცირე მესაკუთრე-კაპიტალისტთა ხელში. ასეთია თანამედროვე ეკონომიურ განვითარების გზა და ევევე ხდება ბელგიაში.

დ. თოფურიძე.

---

### ჟურნალ-გაზეთებიდან.

ჩვენი სოფლების ერთ საჭირ-ბოროტო კითხვას შეადგენს სხვათა შორის საძოვარ ადგილების საქმე, ე. ი. მათი რაოდენობა და კერძო მესაკუთრეთა შორის დაყოფა. ადგილობრივ გაზ. «Нов. Обозр.»-ში (№ 5732) დაბეჭდილი იყო ამ საგნის შესახებ მოწინავე წერილი (Пастбищный вопросъ). წერილიდან ჩანს, რომ იქ მოყვანილი ცნობები «საგლეხო საქმეებთან ახლო მდგომს» ადამიანს ეკუთვნის. ეს ცნობები რომ მართლა ასეთ კაცს ეკუთვნის, ამაში ჩვენ ეჭვი არ შეგვაქვს, მხოლოთ წერილის შინაარსიდან ჩვენ იმასაც ვხედავთ, თუ ეს „საგლეხო საქმეებთან ახლო მდგომი» ავტორი როგორ განწყობილებაში უნდა იყოს დროებით ვალდებულ გლეხებთან. ეს მეტათ აშკარათ ჩანს დასახელებულ წერილიდან, და ამიტომ მისი დაფარვა ყოვლად შეუძლებელია. ავტორი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ამიერ-კავკასიაში დროებით ვალდებული გლეხების მიერ საძოვარი ადგილებით სარგებლობა დამყარებულია იმ წესზე, რა წესიც ბატონ-ყმობის გაუქმებამდის არსებობდა. ეს წესი და ჩვეულება კი ისეთი იყო, რომ გლეხები აძოვებდენ თავიანთ საქონელს იქ, სადაც თვით მებატონეთა საქონელი სძოვდა. დროებით ვალდებული გლეხები, რომლების ბედ-იღბალი დღესაც წინანდელ მებატონეთა ხელში იმყოფება, ახლაც სარგებლობენ ამ წესით. მაგრამ თუ წინეთ მებატონეთ ეს ხელს აძლევდა, დღეს ეს იმათ ინტერესებს ეწინააღმდეგება. «მაგრამ ახლა — გვეუბნება ავტორი — გარემოებანი ძირეულათ შეიცვალენ და მებატონეები, რომლებიც შევიწროებულნი არიან სერვიტუტის მოსპობით (ხაზს ჩვენ ვუსვამთ), სრულებით შეძლება აღარ აქვთ (საწყლები!) ისარგებლონ თავისი საძოვარი ადგილებით“. ერთი სიტყვითო, თუ ავტორს დავუჯერებთ, დროებით ვალდებულ გლეხებს ისე შეუვიწროებიათ მებატონეები, რომ ამ უკანასკნელთ საგლეხო დებულების § 26 მუხლიც ვეღარ შველისთ, ის მუხლი, რომლის ძალით მებატონეს ყოველთვის უფლება აქვს შეამციროს გლეხათათვის მიზომილი საძოვარ ადგილების სივრცეო. — აი საუცხოვო მაგალითი იმის, თუ როგორ ავიწროებენ და იჯაბნებენ უძლურნი ძლიერთ. ყმები ბატონებს. ეს საკვირველი აღმოჩენა ეკუთვნის „ახალ მიმოხილვას“ და მის უსახელო თანამშრომელს, რომელიც ნუ დაივიწყებთ, „საგლეხო საქმეებს ახლო უდგას!“ მებატონეთა ასეთი საშინელი შევიწროებისაგან დასახსნელათ ავტორი იძლევა შემდეგ პროექტს: «დროებით-ვალდებულ გლეხებს ნება მიეცეთ აძოვონ თავიანთი საქონელი მხოლოთ თავიანთვე საწადელო სახნავ-სათეს მიწებზეო, მხოლოთ იმ პირობით კიდ, — უმატებს გულ-კეთილი ავტორი, — რომ მებატონეთ გლეხის საწადელო სახნავ-სათეს მიწებზე ნუ ექნებათ უფლება თავისი საქონელის ძოვებისაო». კარგი დაგემართოთ, კარგი ეს იყოს, - მაგრამ ვისთვის, ეს სულ სხვა საქმეა. ჩვენ მხოლოთ ერთს ვეკითხავთ: თუ მართლა ასე ავიწროებენ მებატონეთ დროებით-ვალდებული გლეხები, რატომ ისინი არ ცდილობენ ამ ანორმალური მდგომარეობის სრულიად მოსპობას? ჩვენ კი ნამდვილი წყაროებიდან ვიცით, რომ მებატონეები ამ მდგომარეობის გაუქმების წინააღმდეგნი არიან. ჩვენ კიდევ აი რა გვაკვირვებს ამ შემთხვევაში: «ახალი მიმოხილვა» თავისი რედაქტორის პირით წინეთ სულ სხვას ამტკიცებდა. ამიტომ ჩვენ ვერ აგვიხსნია, თუ რათ მოუვიდა «ფრთხილ» ორგანოს ასეთი ნახტომი...

* * *

როგორც მკითხველს ეცოდინება, ამ უკანასკნელ ხანებში ქართულ ჟურნალ-გაზეთებმა ისევ მოუხშირეს ეროვნებაზე წერა. განსაკუთრებით ისახელა თავი ამ მხრით გაზ. „ცნობის ფურცელმა“ ბ-ნ არჩილ ჯორჯაძის ბურჟუაზულ-შოვინისტურ წერილების წყალობით. მაგრამ «ცნ. ფურცელს» არც ძველი «ივერია» ჩამორჩა. მართალია, მათ შორის ცოტაოდენი განსხვავებაა ეროვნების შესახებ, მაგრამ ეს სულ სხვა საქმეა. თუ ერთი იმათგანი („ცნ. ფურც.“) აღფრთოვანებით შეჰყურებს ქართველი ეროვნების აღორძინებას მომავალში, მეორე («ივერია») სამაგიეროთ ყურებ-ჩამოშვებული და თვალ-ცრემლიანი წარსულისაკენ იყურება და მუხლ-მოდრეკით ახსენიებს მის ნამოქმედარს; ხოლო აწმყოსი და მომავლის გახსენება სასოწარკვეთილებას გვრის.

«ერთი სიტყვით — ამბობს ბ. ვართაგავა (იხ. «ივერია» № 130), — თუ დღეს ქართველი ერი, ავაგის თქმის არ იყოს, «მოწინავეს ჩამორჩა და უკანაზე წინ არის», ეს იმისთვის, რომ მას არა აქვს ეროვნული თვით-ცნობიერება, რომელიც სათავე და საძირკველია ერის პროგრესიულ წინმსვლელობისა. და სადაც ეს «საძირკველი დანგრეულია», იქ, მეორე პოეტის

---

[5]) H. Denis. La dépression économique et sociale et l'histoire des prix. გვ. 354.

[6]) Annuaire statistique de la Belgique. 1899. გვ. 283—284.

თქმის არ იყოს (ოხ, ეს პოეტები! რა ეშველებოდა ბ-ნ კართაგავას, თქვენ რომ არ ყოფილიყავით?), «კედლების აღშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია».

ე. ი. თუ ერთი („ცნ. ფურ.“) ქართველი ეროვნების за-здравіе-თი იწყებს, მეორე („ივ.“) მისი за-упокой-თ ათავებს. მსჯელობის გზა-კვალის აბნევა ამაზე შორს, ვგონებ, ველარ წავა.

* * *

ერთი ოზურგეთელი კორესპონდენტი გაზ. „ცნობის ფურცელში“ (№ 1498) სწერს:

„ერთათ ერთი უფლება ჰქონდა ქალაქის მცხოვრებთ მინიჭებული თავის სურვილის ნებაზე თავიანთი შინაურული საქმეების გამგებლობა-გაძღოლა, და ესეც შინაური მეცხოვნეების შემწეობათ ამ დროებით წაერთვა მცხოვრებთ; წარსული ოთხი წელიწადი აღსაფრთოვანებელ იმედებში გაატარეს (სწორეთ რომ იმედებში გაატარეს!) ქალაქის მცხოვრებლებმა, შეეჩვიენ საერთო საქმეების შესახებ ბჭობა-მსჯელობას; ესლა კი თითქოს რაღაც მანქანებით ყოველივე ეს მოისპოვო“.

ჩვენ არა ერთხელ და ორხელ გვქონებია მსჯელობა ოზურგეთის ქალაქის თვით-მართველობის აწეწილ-დაწეწილ საქმეების შესახებ. იმის მაგიერ, რომ ოზურგეთლებს თავის სასარგებლოთ გამოეყენებიათ ჩვენი შენიშვნები, პირიქით ჩვენ უსაფუძვლოთ ლანძღვა დაგვიწყეს, რითაც შეცდომების ჩადენა კიდევ უფრო შესაძლებელი გახადეს. ბოლოს თავიანთი ყოვლად უტაქტო ქცევით თითონვე მოისპეს ის მცირეოდენი უფლებაც, რომლითაც ოთხი წლის განმავლობაში, ავათ იყო თუ კარგათ, სარგებლობდენ, და მხოლოთ ახლა მოსულან რამდენიმეთ გონს; მაგრამ ახლა უკვე გვიანღა არის. ეტყობა, ოზურგეთლები მეტათ იშვიათათ იგონებენ უკვდავი რუსთველის სიტყვებს: «წამხდარსა საქმეს რას არგებს მერმეღა თითზე კბენანი».

## წერილი რედაქციის მიმართ.

ქ-ნო რედაქტორო! მე სრული თანახმა ვარ ჩემი და ბ. მოსე ნინიძის წერილები და ორივე კრების — 18 თებერვლის და 4 მარტის — საქმე გაარჩიოს არა მარტო სამმა კაცმა, არამედ თვით ასკანის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის და ა ბლიოთეკის წევრებმა ადრე მომავალში, არაჩვეულებრივ კრებაზე და, მართლაც, ვინც ჩვენგანში ყოფილამდი უსირცხვილო აღმოჩნდეს, გადაისადოს მის მაერ (მ. ნინიძის) აღნიშნული ორმოცი მანეთი (ნეტავი მეტი ეთქვა), იმ პირობით კი, რომ ეს ფულები ამ თავითვე წარუდგინოს ასკანის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას, შემდეგ საქმის დაბოლოვებისა კუთვნილებისამ[illegible]რ მოსახმარებლათ. მე, ჩემის მხრით, მივწერ გამგეობას ორმოცი მან. ჩემი ფული დაიჭირონ, სანამ საქმე დაბოლოვდებოდეს. შეიძლება ბ-ნი ნინიძე დაუფრთხეს ამ ჩემ წინადადებას და იგი სხვაფრივ [illegible] მ. მოსვლავში თანახმა ვარ სამი, ორი, გინდ [illegible] ჩენზედაც.

სოლომონ ჭეიშვილი.

14 ივნისი. ქ. ოზურგეთი.

## შეცდომების გასწორება.

„კვალის“ მე-25 №-ში მე-621 გვერდზე, ზევიდან მე-11 სტრიქ., დაბეჭდილია 1895 — უნდა იყოს: 1894; მე-28 სტრიქონშია გამოაქვთ — უნდა იყოს: გამოთქვეს; იმავე გვერდზე, ქვევიდან მე-14 სტრიქ., დაბეჭდილია: გამოაქვთ — უნდა იყოს: გამოთქვეს; მე-19 სტრ-შია 189[illegible] — უნდა იყოს: 1894.

624 გვერდზე, ზევიდან მე-15 სტრიქ. დაბეჭდილია ექსპედიტორებმა — უნდა იყოს: ექსპორტერებმა.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

შინაარსი: საუბარი სხვა-და სხვა საგნებზე, მოსაუბრისა. — სხვა-და-სხვა ამბები. — კორესპონდენციები. — რუსეთის ცხოვრება. — წერილი ბელგიიდან ლ. დ.-სა. — როგორც ქუხს, ისე არა წვიმს, Idem-ისა. — საზღვარ გარეთ. — ორი ცხედარი, ნატოსი. — ქუთაისის ცხოვრებიდან, ლეოსი. — მეცნიერება და მეცნიერები (დასასრული), დ. თოფურიძისა. — ჟურნალ-გაზეთებიდან. — წერილი რედაქციის მიმართ. — შეცდომის გასწორება და განცხადებანი.

## განცხადებანი.

თფილისის კერძო. სამკურნალო
მკურნალის მ. გედევანიშვილისა
(კუკ-ა, ნიკოლოზის ქ., სახლი საგინაშვილისა, № 21).
ტელეფონი № 247.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა
დილით:
ჰ. ი. ჭიჭინაძე. — კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.
მიხეილ გედევანიშვილი — ნერვებისა და წამლობა ელექტრონით — 9—10 საათ.
ნ. ა. მელინი — ყურისა, ყელისა და ცხვირისა — 11—12.
ი. პ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი 10—12.
ა. ნ. მაჭავარიანი — თვალისა, 11—12 საათ.
ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე - ბავშვებისა, 11—12.
დ. ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და შინაგანი, 1—2.
ჰ. ლ. მარკევიჩი — საქირურგო, $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ., სამშაბათობით 3—2.
ი. დ. ბეგთაბეგოვი — სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათ.
საღამოთი:
ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი, 5—6.
ა. ა. ბელოგოლოვი — შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი, 5—6 საათ.
კვირაობით:
გ. გ. მაღალაშვილი — შინაგან ავადმყოფ., 10—12.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები — მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარი[illegible]თვის უფასოა.

სკოლა და პანსი[illegible]
ა. მამულაიშვილისა
ამზადებს ყმაწვილებს სხვა-და[illegible] სასწავლებლებისათვის.
ოლგას ქუჩა (Ольгинская), № 13. 4—3

მიწის მზომელი
იღებს ყოველნაირ სამიწათმზომლო სამუშაოს როგორც თბილისში, აგრეთვე თბილისს გარეთ. მსურველთ შეუძლიათ ადრესი იკითხონ «კვალის» რედაქციაში

Дозволено цензурою, Тифлисъ. 23 іюня 1901 г.
სტამბა კ. მარტიროსიანცისა, ვანქის დიდი ქ., № 1—2.